# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 15—16 1883—1893 1—30 აგვისტოს

შინაარსი: სამწუხარო მოვლენა.—წერილი კიევიდამ.—წერილი ჯიხაიშიდამ.—ფუფუნება.—გოდება (ლექსი).—ალექსანდრე პირველი სერბიის კოროლი.—პედაგოგიკის ისტორიიდგან.—ჩვენ მოძმეთა საყურადღებოდ.—მღვდელი გიორგი დუმბაძე.—ახალი ამბები და შენიშვნები.—† მღვდელი გიორგი სუხიევი.—სწავლა კეთილ-ზნეობასა და სარწმუნოებაზე.—მღვდელთა საყურადღებოდ.—განცხადება.

## სამწუხარო მოვლენა

მთელს საექსარხოსოში, რომელიც ხუთი ეპარქიისაგან შესდგება და რომელშიაც ორი მილიონი მართლ-მადიდებელი მკვიდრია, მარტო ერთად ერთი სასულიერო საშუალო სასწავლებელია—თბილისის მართლ-მადიდებელი სემინარია. რუსეთის შინაგარ გუბერნიებში, თითქმის, თითოეულს ეპარქიაში არის სასულიერო სემინარია და ზოგან ორი და სამიც იმექონება. სხვა სემინარიებიდამ ყოველ წლობით რამოდენიმე სტუდენტს აგზავნიან სემინარიების სამმართველოები სასულიერო აკადემიებში უმაღლესი სასულიერო განათლების მისაღებად. გარდა სემინარიის სამმართველოებისაგან გაგზავნილ სტუდენტებისა, სხვაებიც ბევრნი მიდიან აკადემიებში თავის ხარჯით, ვინაიდგან რუსის სტუდენტებისათვის ისეთი გასაჭირი არ არის აკადემიაში წასვლა, როგორც საქართველოს სამღვდელოების შვილებისათვის. რა დაბრკოლება შეხვდება რუსეთის იმ სემინარიების სტუდენტებს, რომელთაც თავიანთ ანუ მახლობელ ეპარქიებშივე აქვსთ აკადემიები? მაგრამ ესევე არ შეიძლება სთქვას კაცმა თბილისის სასულიერო სემინარიაში კურს დამთავრებულ სტუდენტების შესახებაც. ამ უკანასკნელებს ბევრი რამ უშლის ხელს, რომ სასულიერო აკადემიებში გააგრძელონ სწავლა, კიდეც რომ დიდი სურვილიც ჰქონდესთ უმაღლესი სასუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიერო განათლების მიღებისა. სხვა დამაბრკოლებელ მიზეზთა შორის პირველი ადგილი უჭერია ჩვენი სამღვდელოების სიღარიბეს, ჩვენგან აკადემიების სიშორეს და რუსეთის ზოგიერთი გუბერნიების ჭკვის მავნებელ ზედმოქმედებას, რომელიც ჩვენს საქართველოს ზოგიერთ საუკეთესო ყმაწვილებს დღეს უმოკლებს და საუკუნოდ ასალმებს ამ წუთისოფელს. მაგრამ ამ დაბრკოლებათა შორის ზოგი ისეთია, რომელთა თავიდგან აცილება შეიძლება, თუ ჩვენი სამღვდელოება რიგიან ყურადღებას მიაქცევს თავის შვილების განათლების საქმეს.

მთელი საქართველოს საექსარხოსოს სამღვდელოების სამწუხაროდ ამ წელში თბილისის სემინარიაში კურს დამთავრებულ სტუდენტებიდგან სემინარიის სამმართველოს არც ერთი არ გაუგზავნია სახელმწიფო ხარჯით აკადემიაში. მაშასადამე წელს საექსარხოსოს ხუთი ეპარქიიდამ არც ერთი კაცი არ იგზავნება ჩვენი სემინარიიდამ აკადემიაში უმაღლესი სასულიერო განათლების მისაღებად. ჩვენ არ ვიცით, თუ რა იყო მიზეზი, რომ წელს არავინ არ გაგზავნეს აკადემიაში კურს დამთავრებულთაგან. როცა წინა წლებში ორ-სამ სტუდენტს აგზავნიდნენ ხოლმე აკადემიაში ჩვენი სემინარიიდამ, ნუ თუ ერთი კაცის გაგზავნა მაინც არ შეიძლებოდა წელს! წელს თბილისის სემინარიაში სტუდენტის ხარისხით სწავლა დაამთავრა 8 კაცმა. თუმცა ეს რიცხვი ძლიერ მცირეა წინა წლებში კურს დამთავრებულებთან შედარებით, მაგრამ აქედგანაც, იმედი გვქონდა, რამოდენიმე კაცი მაინც აღმოჩნდებოდა მსურველი და ნიჭიერი, რომ აკადემიაში განეგრძო სწავლა. მაგრამ გასაკვირველი და გასაოცარი ის კი არაა, რომ წელს ჩვენმა სემინარიის სამმართველომ არც ერთი სტუდენტი არ გაგზავნა აკადემიაში, არამედ ის გვაოცებს, რომ ჩვენი სამღვდელოება ასე გულგრილად უცქერის, როცა მათი სემინარიიდამ არც ერთი სტუდენტი არ მიდის სასულიერო აკადემიაში. თუ კი თითოეული გიმნაზიიდამ (7 გიმნაზიაა კავკასიაში) ყოველს წელს საკმაო რიცხვი მოსწავლეთა იგზავნება სახელმწიფო ხარჯით უნივერსიტეტებში უმაღლესი სწავლის მისაღებად, რატომ ამასვე არ უნდა მოველოდეთ ჩვენი სასულიერო მთავრობისაგანაც? ზოგიერთები ამბობენ, ვითომც ორზე მეტი სტუდენტის მიღება სახელმწიფო ხარჯზე არ შეიძლებოდეს აკადემიაშიო. ორს ღებულობდენ ხოლმე ამ ორმოცი წლის წინათ; დღეს თუ ამ რიცხვის მომატება არ შეიძლება, ორი მაინც გაიგზავნოს ხოლმე ყოველ წლობით. მაგრამ მარტო ორი კაცის გაგზავნა სასულიერო აკადემიაში საკმაო არ არის ჩვენი სამღვდელოებისათვის. ჩვენ სამღვდელოებას ჰგონია, ვითომც მარტო სემინარიის სამმართველოსაგან გაგზავნილ სტუდენტებს შეეძლოთ აკადემიებში შესვლა. ესეთი აზრი შემცდარია. სემინარიის ყველა სტუდენტს შეუძლია აკადემიაში შესვლა, თუ კი ეგზამენს დაიჭერს. ყოფილა შემთხვევა, რომ სემინარიის სამმართველოსაგან მოწონებულნი და გაგზავნილნი სტუდენტები უკანვე დაუბრუნებიათ და სხვაები კი მიუღიათ. აქედამ ცხადია, რომ სემინარიის ყველა სტუდენტს შეუძლია წავიდეს აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად,

შეიძლება ჩვენი სამღვდელოება თავისი სიღარიბისა გამო ვერ გზავნიდეს შვილებს აკადემიებში? მართალია ჩვენი სიღარიბე ბევრ რამე საქმეში გვაბრკოლებს, მაგრამ ჩვენგან დასახელებულ საგნის შესახებ სიღარიბე არაფერ შუაშია. ბევრი ჩვენი სამღვდელოების პირთა შვილები სწავლობენ გიმნაზიებში, როცა აქ მათი შვილები სწავლას ამთავრებენ დ͠ სიმწიფის მოწმობას იღებენ, მამები უსათუოდ გზავნიან მათ უნივერსიტეტებში და სიღარიბეს სრულებითაც არ ერიდებიან; როცა ამავე სამღვდელო პირთა შვილები ათავებენ სწავლას სემინარიაში, მათ აკადემიებში გაგზავნას კი აღარ ფიქრობენ და საკმაოდ მიაჩნიათ სემინარიის კურსის გათავება. საჭიროა ჩვენი სამღვდელოება დაუფიქრდეს ამ საქმეს. დროა მივხვდეთ, რომ დღეს სულ სხვა დროა და სემინარიის «კურსოვნიკებით“ შორს ვერ წავალთ, თუ უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში კურს დამთავრებული პირებიც არ გვეყოლენ. თითოეულს სტუდენტს აკადემიაში სწავლის დროს ყოველ წლობით დასჭირდება 400—500 მანეთი; ოთხ წელიწადს 1600—2000 მან. ამ დახარჯულ ფულს მალე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოიღებს აკადემიაში სწავლა დამთავრებული პირი, რომელსაც სამსახურში შესვლისათანავე შეუძლია წლიწადში 2000 მანეთამდე აიღოს. საწყალს სემინარიელს კი იმავე შრომისათვის, კიდეც რომ აკადემიელზე უფრო მეცადინად და სასარგებლოდ მუშაობდეს, ენიშნება 500—600 მან. ამასთანავე უმაღლეს სწავლა დამთავრებულ პირთ ეძლევათ დამატებითი ჯამაგირებიც, რომელსაც სულ უბრალოდ იღებენ ზოგიერთი პირნი.

ნუ თუ საქართველოს სამღვდელოებას არ შეუძლია თავის ხარჯით გაგზავნოს აკადემიებში რამდენიმე სტუდენტი, როცა ხედავს, რომ მათ მშობლებს მართლა არ შეუძლიათ სიღარიბისა გამო თავიანთი შვილების აკადემიაში გაგზავნა? იმედია, სამღვდელოება მომეტებული თანაგრძნობით მოეკიდება ამ საქმეს. იმედი გვაქვს, რომ ამ საჭირო და საყურადღებო საგანზე ჩვენი სამღვდელოება, სხვათა შორის, მოილაპარაკებს საექსარხოსოს სამღვდელოების იმ კრებაზე, რომელიც უნდა მოხდეს თბილისში, მომავალი ოქტომბრის 8 რიცხვს.

დეკ. დ. ღამბაშიძე

---

## წერილი კიევიდამ.

წელს კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლა დაამთავრა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით ბ. ილია ფერაძემ, რომელიც 1889 წელს თბილ. სასულ. სემინარიის საბჭომ გაგზავნა სახელმწიფო ხარჯით აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად. ბ. ფერაძემ კანდიდატის ხარისხის მისაღებად დასწერა მეოთხე კურსზედ ვრცელი (560 გვერდი) თხზულება საქართველოს საეკკლესიო ისტორიიდამ თვით მის მიერ ამორჩეულს შემდეგ ტემაზედ: «ივერიის ეკკლესია წმ. მეფის დავით აღმაშენებლის დროს».

ჩვენ გვსურს გავაცნოთ «მწყემსი»-ს მკითხველებს „რეცენზია", რომელიც მისცა ამ თხზულების შესახებ კიევის სასულიერო აკადემიის პროფესორმა ივანე მალიშევსკიმ.

«ბ. ფერაძის თხუზულების შინაარსს შეადგენს: შესავალი, სამი თავი, რომელიც ტემის საგანს შეეხება და დამატება. შესავალში ავტორი შეეხება სამწუხარო მდგომარეობას აღმოსავლეთისას და აღმოსავლეთის ეკკლესიისას, რომელიც, გამოიწვია სელჯუკ-თათრების მძლავრობამ. აქვე კერძოდ ლაპარაკობს საქართველოს ასეთსავე არა სანატრელს მდგომარეობაზედ მეთერთმეტე საუკუნის 80 და 90 წლებში. შემდეგ ამისა ავტორი გვიხატავს ხასიათს წმ. მეფის დავითის პიროვნებისას; იმ წმ. დავით აღმაშენებლისას, რომელმაც იმ სამწუხარო დროს თავს იდვა ღვაწლი აღედგინა მკვდრეთით პოლიტიკური თავისუფლება და ძლიერება საქართველოსი და დაემყარებია ივერიის ეკკლესიაში ჯეროვანი კეთილ წესიერება და კეთილწყობილება.

თხზულების პირველს თავს აქვს წარწერა: «გავრცელება და გამტკიცება ქრისტიანობისა ივერიის ეკკლესიაში წმ. მეფის დავით აღმაშენებლის დროს». ეს თავი შედგება რამდენიმე სხვა-და-სხვა შინაარსის განყოფილებათაგან: აქ ავტორი გარკვევით გვიხატავს, თუ როგორ დამყარდა და გამტკიცდა ერთობა ქართველთა ტომისა დავით აღმაშენებლის დროს, თუ როგორ შემოკრიბა დავითმა თავის კვერთხს ქვეშ სხვა-და-სხვა ნაწილები საქართველოს ქვეყნისა; აქვე შეეხება ქართველების ომებს თათრებთან, რომელნიც გათავდნენ იმით, რომ ქრისტიანობამ სძლია მაჰმადიანობას საქართველოს სატახტო ქალაქს თბილისში და სომხითის ყოფილს ქალაქს ანისში.

მეორე თავში ავტორი შეეხება საქართველოს ეკკლესიის იერარქიის ცხოვრებას და საეკკლესიო მმართველობას. აქ ის პირველს განყოფილებაში განმარტავს ისტორიულს დამოკიდებულებას საქართველოს ეკკლესიისას ანტიოქიის პატრიარქის მიერ, დამოკიდებულებას, რომელიც საბოლოოდ გამოირკვა წმ. მეფის დავით აღმაშენებლის დროს და გათავდა მით, რომ ამავე მეფის დროს საქართველოს ეკკლესია სამუდამოდ განთავისუფლდა უცხო ეკკლესიის დამოკიდებულებისაგან. მეორე თავის, მეორე განყოფილებაში აწერილია უფლებანი კათალიკოზისა, მის მიერ საეკკლესიო საქმების მართვა; აქვე ავტორი ჩამოთვლის ეპარქიებს დავითის დროისას. მოკლე ისტორიული შენიშვნებით მათ შესახებ. უფრო დიდს ადგილს უთმობს ავტორი მეორე თავში რუისის კრების აღწერას იმ კრებისას, რომელიც 1103 წელს მოიწვიეს დავით აღმაშენებელმა და კათალიკოზმა იოანემ აღმოსაფხვრელად სხვა-და-სხვა საეკკლესიო უწესოებათა და განსამტკიცებლად ივერიის ეკკლესიის კეთილ-წყობილებისა. ავტორი ვრცლად იკვლევს ამ კრების დადგენილებათა და აგრეთვე საეკ-

კლესიო განონებს რუსეთის ძველი ეკკლესიისას და ამით ხსნის მათ მნიშვნელობას. ავტორი რუისის კრებას მიაწერს უდიდეს მნიშვნელობას ივერიის ეკკლესიის ისტორიაში და მისი მსჯელობა ამ შემთხვევაში სწორედ რომ მართალი არის. მეორე თავშივე მოკლედ, მაგრამ საფუძვლიანად ლაპარაკობს ავტორი იმ კრების შესახებ, რომელიც მოხდა დავითის დროს ქ. ანისში და რომელსაც მიზნად ჰქონდა შეერიგებია ქართველები და სომხები სარწმუნოების მხრით; აქაც და თავის თხზულების სხვა-და-სხვა ადგილსაც ავტორი ახასიათებს ისტორიულს ურთიერთობას სომხეთისას და საქართველოისას, საქართველოს ეკკლესიისას და სომხეთის ეკკლესიისას; ამტკიცებს ამასთანავე ნათლად, რომ ივერიის ეკკლესია, მტკიცე და ერთგული მართლ-მადიდებლობის სწავლისა, სცდილობდა დაეცვა თავისი ძენი სხვადასხვა ცრუ-სწავლათაგან, რომელნიც ძველად გავრცელებული იყვნენ მცირე აზიაში და სომხეთში. ავტორი ამტკიცებს, რომ ივერიის ეკკლესია ხშირად ცდილობდა დაეყენებია სომხები ჭეშმარიტების გზაზედ და კიდევაც ზოგჯერ მიაღწია თავის მიზანს.

მესამე თავში ავტორი შეეხება ქართველთა განათლების მდგომარეობას დავით აღმაშენებლის დროს. ამ თავის დასაწყისში ნაამბობია მოკლე ისტორია საქართველოს განათლებისა დავით მეფემდის, შემდეგ შეეხება თვით დავითის მოღვაწეობას ქართველთა შორის განათლების გასავრცელებლად, გადმოგვცემს ცნობებს სკოლებზედ და განსაკუთრებით ათონის ივერიის მონასტრის სკოლაზედ, რომელმაც საქართველოს აღუზარდა მრავალი სახელოვანი მოღვაწე. ამავე თავში მოყვანილია სია ოცი მწერლის, რომელნიც დავითის დროს სცხოვრობდენ! ავტორი მოკლედ შეეხება მათს ცხოვრებას და მათს ნაწერებს და ორიგინალურს და ნათარგმს. მწერალთა რიცხვში მოხსენებულია თვით წმ. დავითი, რომელმაც გარდა თავის «ანდერძისა» დასწერა «გალობა სინანულისა». თხუზულების დასასრულში ნაჩვენებია საზოგადო ხასიათი დავითის მოღვაწეობისა ივერიის ეკკლესიის სასარგებლოდ და მნიშვნელობა ამ მოღვაწეობისა არა თუ მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი აღმოსავლეთის ქრისტიანობისათვის; დამატებაში ავტორს მოჰყავს თვის მიერ ქართულიდამ რუსულს ენაზედ გადმოთარგმნილი «ძეგლის წერა 1103 წლის, რუისის კრებისა და გალობა სინანულისა».

ზ. ფერაძეს დიდის და ფრიად საქები ერთგულებით მიუყვია ხელი თავის თხზულების საგნის შესწავლისთვის. იმას საფუძვლიანად ღრმად შეუსწავლია წყაროები და სხვა დასახმარებელი ნაწერები საქართველოის და იმის ეკკლესიის ისტორიისა; ხელთქვე ჰქონია გამოკვლევანი რუსულს, ქართულს, ლათინურს და ფრანგულს ენებზედ, რომელნიც კი შეეხებიან აღმოსავლეთს საზოგადოდ და კერძოდ საქართველოს. დრო მეფის დავით აღმაშენებლისა, მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში საქართველოს ეკკლესიის მდგომარეობა მის დროს გარკვევით და საფუძვლიანად დახატულია. ქების ღირსია ის კეთილ მოკრძალება, რომლითაც ავტორი ეპყრობა საქართველოს საუკეთესო მოღვაწეობის სახელს და მათ ნაღვაწსა. ზ. ფერაძის თხუზულება უნდა ჩაითვალოს ფრიად სასარგებლო განძად ივერიის საეკკლესიო ისტორიისათვის, რადგან მასში შეგროვილია ბევრი ახალი განსაკუთრებული ცნობები; მისი თხზულება შემდეგ მცირე შესწორებისა სასურველია აღიბეჭდოს, როგორც ისეთი ნაწერი, რომელიც წარმოადგენს უეჭველია ინტერესს და ინტერესს ახალი გამოკვლევისას ჩვენს საეკკლესიო ისტორიულს მწერლობაშიაც“.

თანახმად ასეთის აზრისა ზ. ფერაძეს ჰსურს შეიმუშავოს კიდევ და განავრცოს თხზულება და რამდენიმე წლის შემდეგ წარუდგინოს აკადემიის საბჭოს მაგისტრის ხარისხის მისაღებად.

მ. ჩო—მე.

## წერილი სოფ. ჯიხაიშიდამ.

სოფელი ჯიქთუბანი მდებარეობს კულაშის საბლაღოჩინო მაზრაში. ამ სოფლის ტაძარი არის აშენებული წმ. ილია წინასწარმეტყველის სახელზედ, რომელშიდაც არის წმ. ილიას ხატი. როგორც ამ სოფლის მცხოვრებთ, აგრეთვე მახლობელ სოფლელებს დიდი სასოება აქვსთ წმიდა ილიას ხატისა. დადგება თუ არა გვალვა, ახლო-მახლო სოფლელები მიმართვენ წმიდა ილიას ხატს და სთხოვენ, მოუვლინოს მათ წვიმა. როგორც გამოცდილებამ დამანახვა, მართლაც ამ გვარი სათხოვარი ხშირად აღსრულებიათ აქაურებს. სამი თთვე განმავალობს, რაც აქეთ ჯეროვნად წვიმა არ მოსულა. ძლივს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაბარა საწყალმა მუშა კაცმა მიწას სათესური; აღმოცენდა იგი, მაგრამ უწვიმრობისა გამო ხმება. საზარელი სანახავია ნათესი ყანები. ძველი აღარ არის, ახალს ხალხი აღარ მოელის და თავიანთ უბედურებას გულმტკინეულათ შესცქერის. ხალხის გაჭირვებას, დედა-კაცთა გამოუთქმელ ტირილსა, ყმაწვილების შევიწროებას და ამათთან პიროუტყვის ბღავილს მიაქცია ყურადღება ამ მაზრის ბლაღოჩინმა მამა ერმალოზ კანდელაკმა, რომლის თაოსნობით ამ წმიდა ილიას ტაძარში მოხდა შემდეგი ღამის თევით ლოცვა 22 ივლისს. მახლობელ სოფლის ეკკლესიების კრებულთა მისცა ბრძანება, აგრეთვე აცნობა მამასახლისებს ოთხი საზოგადოებისას, ხალხი შეეკრიბათ და მოსულიყვნენ წმ. ილიას ტაძარში 25 ივლისს ნაშუადღევს. ამ დღეს ეს ყველა ეკკლესიების კრებულნი შეიკრიბნენ ნაშუადღევის 4 საათზედ. ხალხი ცოტა იყო, მაგრამ ეტყობოდა თან-და-თან მოდიოდნენ და თავს იყრიდენ. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ჭოგნარის მამასახლისი და მოახსენა ბლაღოჩინს: «დღეს შეუძლებელია მდინარეზედ ხატის გასვენება და გაბანვა, რადგან ხალხს ეს ჩვეულება არა აქვსთ. ხალხი შეიკრიბება ღამით, მთელი ღამე ლოცვით და ღამის თევით უნდა გაატაროს და დილით ადრიან შეუდგებიან თქვენის წინამძღომლობით მოგზაურობას. იქნება წმიდა ილიამ გვიშუამდგომლოს და გამოგვიხსნას იმ განსაცდელისაგან, რომელიც დღეს მთელს ამ სოფლელებს თავს ადგია». მამასახლისის ამ განცხადებამ დაიმსახურა ბლაღოჩინის ყურადღება. ზოგიერთები არწმუნებდნენ მამა ბლაღოჩინს: „რაც ეხლა არ არის ხალხი, ამაზედ მეტი თავს არ მოიყრისო, მოგვეცი ნება, შინ წავიდეთო». ღამით მართლა აივსო მლოცველებით ეკკლესიის გალავანი. ჯიხაიშის მამასახლისიც მოვიდა და თან მოიყვანა აუარებელი ხალხი, სამღვდელოების გარდა. ხალხის სიმრავლემ და მათმა ლოცვამ ისრე გაამხნევა ბლაღოჩინი და სამღვდელოება, რომ ღამით დასაძინებლად არსად წავიდნენ, ისრე მხნეთ იხდნენ ტაძრის კედელთან ღამის 2 საათამდე, გარდა მორიგი მლოცველი მღვდლისა, ამოდენა აუარებელი ხალხი ლოცვის სმენად იყვნენ გადაქცეულნი. ღამის 2 საათზედ ბლაღოჩინმა დაიწყო გალავანში ცისკარი, რადგან ამოდენა ხალხი ტაძარში არ დაეტეოდა. ცისკრის დროს ილიას საგალობელს კარანახით მგალობელნი გალობდენ. გათავდა თუ არა ცისკარი, ბლაღოჩინმა ხალხს მიმართა გრძნობით სავსე სიტყვით, მისცა მათ ჯეროვანი დარიგება და მასთან აუხსნა ხალხს ამ კრების მნიშვნელობა. სიტყვის გათავების შემდეგ, ბლაღოჩინის და სამღვდელოების წინამძღომლობით, ამოდენა ხალხი გაემგზავრა მდ. რიონისკენ. გალავნის გარეთ ბლაღოჩინის ბრძანებით შემდეგი რიგის მოგზაურობა მოხდა: წინ მიდიოდა მოსაყვირე, რომელიც აღვიძებდა ხალხს და ამზადებდა მოგზაურთა მოგებებას, შემდეგ მიქონდათ ბაირაღები, ამათ უკან რიგშიდ ჩამდგარი სამღვდელოება ხატით და ჯვარით ხელში და შემდეგ მამა ბლაღოჩინი წმ. ილიას ხატით, ბლაღოჩინს მისდევდა თვალმიუწვდენელი ხალხი. გზა იდვა მდ. რიონამდე შუაგულ სოფელში. საყვირის ხმაზედ გაღვიძებული კაცი, ქალი, დიდი და პატარა თვალცრემლიანი გამორბოდენ სახლიდგან, უერთდებოდენ შეკრებილ ხალხს და მათთან ერთად ტირილითა სთხოვდენ წმ. ილიას შემწეობის მოცემას. გზაზედ მოგზაურთ იმოდენა ხალხი შემოუერთდა, რომ სამი ვერსის სიშორეზედ იყვნენ გამწკრივებულნი. ოთხ საათზე მოგზაურნი მივიდნენ მდ. რიონზედ, სადაც აუარებელი ხალხი ელოდებოდა ამ მოგზაურებს. რიონის ნაპირს ხალხი რიგით იყო გამწკრივებული, ბლაღოჩინი სამღვდელოებით პარომზედ ავიდა, აქ გადახდილ იქმნა უწვიმობის სამადლობელი. სამადლობელის შემდეგ ბლაღოჩინმა ინება წმ. ილიას ხატის გაბანვა. ვერ წარმოიდგენს კაცი, რა სანახავი იყო ამ დროს უთვალავი ხალხი. ყველანი მიწაზედ დავარდნილი, თვალ-ცრემლით ღმერთს შესტიროდენ. ხატის გაბანვის შემდეგ ხალხს მიეცა განმეორებითი დარიგება მოძღვართ მოძღვრის მიერ, და შემდეგ ისევ ამ წესით გამოემგზავრენ სამტრედიის წმიდის გიორგის ეკკლესიის გალავნამდე. აქ მთელი საზოგადოება ემთხვია ილიას ხატს, მიიღეს ლოცვა-კურთხევა ბლაღოჩინის და სამღვდელოებისაგან და გულდამშვიდებულნი წავიდნენ თავიანთ სახლებში. იმავე დღეს, საღამოს, ცამ მოსცაცოტა წვიმა და სამი დღე ცოტ-ცოტათ წვიმდა.

დამსწრე.

# ფუფუნება

(დასასრული *).

რაც უფრო ქვეყნის მართველობა ხალხში გადადის, მით უფრო სახელმწიფო უნდა მფარველობდეს დიად ხელოვნებას, ე. ი. იმ ერთად ერთს ფუფუნებას, რომლის ნება შეგვიძლია მივცეთ ჩვენს თავს. ათინას, დიდებულის პერიკლის დროს, სახელმწიფოს შემოსავლის ორი მესამედი იხარჯებოდა საზოგადო ძეგლებზე, შენობებზე და მათ გამშვენებაზე. ერთხელ ხალხმა კიდევაც უდრტვინა მას ამისთვის, მაგრამ, როცა მჭევრმეტყველმა პერიკლმა აუხსნა საზოგადოებას ამგვარ ხარჯების მნიშვნელობა, საზოგადოება აღტაცებაში მოვიდა. პოეტი პირდაპირ ამბობს თავის მეშვიდე ოლიმპიანში: «იმ დღეს, როცა როდოსელებმა აღუგეს ტაძარი მინერვას, კუნძულზე (როდოსის) ოქროს წვიმა გადმოიფრქვეო". ოქროს წვიმა გადმოილვრება ხალხზე მაშინ, როცა ხალხი გონივრათ ამხნევ-აქეზებს ლიტერატურას და ხელოვნებათა; ეს არის წვიმილი წმიდა უანგარო სიამოვნეთა. პედაგოგი ამბობს: „თუ აღზრდა უნდა იწყებოდეს რეალურის, მოკიდევითის საგნებითგან და ნიმუშებითგან, ეს იმისთვისაა, რომ მათით უნდა ისარგებლოს კაცმა როგორც ფრთებით აღსაფრენათ გონების თვით უმაღლეს სფეროებში. აღზრდას თუ განყენებულითგან იწყებ, კაცი რომ გაიზრდება, გაპირუტყვდება. განა იქმნებოდა ამდენი უზომოება ხორციელ ცხოვრებაში, ამდენი ტლანქი და დამამცირებელი ბოროტად ხმარებანი საჭირო საგნების მხმარებლობაში, თუ რომ ხალხი განვითარებული ყოფილიყო, თუნდაც ცოტაოდნათ, იმდენაც მაინც რომ შესძლებოდა დაეტკბო მხედველობა და ყურთა სმენა იმ ღვთაებრივის და საკეთილო შთაბეჭდილებით, რაიცა მოაქვს გარმონიულ ბგერათა სახიობას, ფორმათა თანაშეზომილებას, ფერთა კეთილშეხამებას? ტვირთ მძიმე კაცს შეუძლია შეიმსუბუქოს თავისი სასტიკი მდგომარეობა მაშინ, როცა მის თვალებს შეუძლია ისიამოვნონ იმ დიდებულ შვენებებით, რაც გაფანტულია ამ ვრცელ ქვეყანაზე, რაც, თუ მის გულს მისწვდა, უთუოთ დაუდნობს მწუხარებას და წინასწარ აგებებს საუკეთესო ბედს. ამ საგანზე ბევრისგან ბევრი შეიძლებოდა ლაპარაკი, მაგრამ პირდაპირ საგანს ვერ გადავუხვევთ.

„იმ ქვეყანაში, სადაც სიმდიდრე განაწილებულია შედარებით სწორათ, ფუფუნება შეუძლებელია, და რადგან ეს განაწილების თანასწორობა სახელმწიფოს ღირსებას შეადგენს, ამიტომ რაც უფრო ნაკლებია ფუფუნება რომელსამე ქვეყანაში, მით უფრო ეს ქვეყანა განვითარებულია, სასურველია. იმ ქვეყანაში, სადაც თანასწორობა მთლად არ გამქრალა, ძალი ვაჭრობის, გარჯილობის და სათნოებისა თვითეულს კაცს აძლევს შეძლებას იცხოვროს შიგ თავისის შეძლებით, და მაშასადამე, იქ ცოტაღა თუ არი ფუფუნება. მაგრამ ფუფუნება სრულიადაც არ უნდა იყოს კეთილგანწყობილ სახელმწიფოში და ჭეშმარიტათ განათლებულ საზოგადოებაში. უნდა საზომად აილო ის, რაც არსებობს; მაგრამ საზნეობო მეცნიერებებში უეჭველათ უნდა ეძიო ის, რაც შეიძლება იყოს და უმეტესად ის, რაც უნდა იყოს. უნდა ძებნო იდეალი; ეკონომისტებს კი სრულიად დავიწყებული აქვთ ეს.

წინა დროებში მეფეთა გარეგნულ ბრწყინვალებას და ფუფუნებას შეეძლო სარგებლობა მოეტანა, მაგრამ ხალხებისთვის როდი, არამედ განსამტკიცებლათ მეფის ღირსებისა, მისის უ ბ უ ტ ი ს ა, ამიტომ რომ ამისთანა გამომჩენებლობა ხალხს შეზარავდა და ცრუმორწმუნებრივს მოწიწებას შთააგონებდა. მეფე დიდშვენიერების ბრწყინვალებით, რასაც გარემოეცვა მისი ტახტი, ჩანდა რაღაც ღვთაებად. ასე რომ მაშინ ფუფუნება ხელთუფლობის ერთი საფუძველთაგანი იყო. დღეს კი დიდებულობის ბრწყინვალება აღარ არის შთამგონებელი მოწიწებითის პატივცემისა, არამედ გამაბოროტებელია ხალხისა. ამის გამოა რომ დღეს ევროპაში მეფეები უფრო და უფრო სადა ცხოვრებას მისდევენ და მით უფრო თავს აწონებენ ქვეშევრდომთ. თანამედროვე მეფეებს და ქვეყნის წარმომადგენლებს დღეს კარგად ესმისთ, რომ ერთგულება საზოგადო საქმისადმი და ცხოვრების სისადავე არის საუკეთესო საშუალება, რომ დაიმსა-

*) იხ. «მწყემსი»-ს № 14, 1893 წ.

ხურონ თვისის ქვეყნის სიყვარული. რომელიმე თავქარიანი მილიონერი გაცილებით უფრო ფუფუნებით და დიდრაჯულათ ცხოვრებს, ვინემ ბევრი მეფეთაგანი. დღეს რადგან ძალიან გავრცელებულია დამლუპველი აზრი, ვითომ ბედნიერება მდგომარეობდეს სიმდიდრეში, ამიტომ ჭეშმარიტათ განათლებულნი ქვეყნის წარმომადგენელ-მმართველნი უნდა, მართლაც და, აჩვენებდენ მაგალითს ხალხსა, რომ მაღალი ადგილები და თანამდებობანი მოსათავსებელია უმეტეს სიმარტივესთან და რომ ისინი სრულიადაც არ არიან საშუალებანი გრძნობიარობის და მედიდურობის გაწაინდიკებულ სიამოვნეთა მოსაპოებლათ.

ისტორია საკმაოთ გვიჩვენებს, რომ ფუფუნება ვრცელდება მხოლოდ იმათში, რომელნიც იძენენ სიმდიდრეს შრომით კი არა, არამედ თამაშით, ყამარბაზობით, ავაზაკობით, ომებით და გაიძვერაობით. ნუ დავივიწყებთ, რომ ყველა ძველი სახელოვანი სახელმწიფონი დაირღვენ სოციალურის ბრძოლით. იგივე საშიშროება მოელის დღევანდელ სახელმწიფოებსაც და ჩვენ მოწამენი ვართ დრო და დრო საზარელ მომხდარის საზარელ თავგადასავალთა. საშიშროება უსწორ-მასწორობაშია და საშველი მდგომარეობს საკუთრების გავრცელებაში. ამასვე ამბობდა ძველათ არისტოტელი, ფაქტებით განბრძნობილი, თავის პოლიტიკაში. როცა თვითეული ოჯახის მამა გახდება მესაკუთრედ ცოტაოდენის მინდვრისა, სახლისა, აქციის, ობლიგაციისა, მალისა, მაშინ საჭირო აღარაა გვეშინოდეს სოციალურის რევოლიუციისა და სხვა უბედურობათა თავდატყდომისა. ამიტომ უნდა შთავაგონებდეთ ხალხს პატარაობითვე და სკოლებში დამზოგველობას და მომჭირნობას. ეს მეტადრე საჭიროა ჩვენს ქართველობაში, რომლის უმთავრეს სენს შეადგენს ბედოვლათობა და საზოგადო საჭიროების უყურადღებობა; უნდა შევუმსუბუქდეს ხალხს მოპოება საკუთრებისა; შეიცვალოს ისეთი კანონები, რომელნიც ხელს უწყობენ რამდენისამე დოვლათის ჩაგდებას კაცის ხელში, და, პირიქით, შემოვიღეთ ყოველი კანონი, რომელიც უმეტესობას თანაზიარყოფს საკუთრებაში. ამისთვის ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია ამხანაგობათა დაწესება სხვა-და-სხვა, სამრეწველო და საწარმოო საქმეში. დღეს ჩვენში მხოლოდ წიგნთგამომცემელი ამხანაგობანი ბოგინობს. სულ არაობას ესეც ჯობს. პირველითგან იყო სიტყვა...

რაც შეეხება შეძლებულ და გავლენიან პირებს, მათი მოვალეობაა, ხელი შეუწყონ ამ სიდუხჭირისგან განმათავისუფლებელ მოძრაობას. მუყაითობა შრომაში, მიწათმოქმედებისადმი სიყვარული, ცხოვრების სიმარტივე, უმაღლესი ზნეობითი და გონებით განვითარება: ესაა მაგალითები, რომელნიც უნდა ვაჩვენოთ ხალხს.

ქრისტიანობა ცამდე მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ სიმდიდრე კაცს ადებსო მოვალეობათა, ვისაც წმინდა შემოსავალი აქვს, უნდა ხმარობდეს მას არა სხვა და სხვა ხუშტურების, ამპარტავნობის და მედიდურობის დასაკმაყოფილებლად, არამედ ზოგად სასარგებლო საქმეებზე, როგორც ამას შვრებიან ჭეშმარიტათ განათლებული ევროპიელი და უფრო ამერიკელი მდიდრები. სახარებას მოაქვს მაცხოვარება ამ ქვეყნადაც კი. ძველი სახელმწიფონი დაემხვენ გარყვნილებაში და სამოქალაქო ომებში, იმიტომ რომ დაფუძნებულნი იყვნენ მონობაზე და არ შეეძლოთ განეხორციელებიათ სიმართლე. ახალი სახელმწიფოები ამ უბედურებას ასცდებიან, თუ მოახერხებენ განახორციელონ სახარებისგან წარმოდგენილი იდიალი, რომლის აღსრულებას პირველ საუკუნოებში მისდევდა საძმო სეროზა, ე. ი. იდეალი კაცთა ჭეშმარიტის ძმობისა.

ამ გვარათ ფუფუნების მოსპობა არც ქადაგებას შეუძლია, არც ეკანომისტების გაბმულ მსჯელობას, არამედ ეს შეუძლია თანდათანს და განუწყვეტელ წინსვლას და გარდაქმნას დაწესებულებათა და კანონთა.

# გოდება

(ვუძღვნი ჩემს ძმას ერმა. გ—ნს)

—

ნუ მკითხავ, ძმაო, რას ვწუხვარ,
განა ეგ საკითხველია?!
ეხლანდელს ჩვენს ხალხს რომ ვხედავ,
ცრემლით მევსება თვალია.

—

ძმა-ძმას ღალატობს, აღარ სწამს,
მამა შვილისა მტერია,
ვინც რომ მოყვარე გგონია,
ის უფრო გულით მტერია.

—

ძველი ქართველის მაღალ ზნეს
ვერ ვამჩნევ ეხლანდელშია,
თვის ეროვნულის კულტურის
დაცვა არ უდევსთ გულშია.

—

აღარც დედები უზრდიან
ვით ძველნი მამულს გმირებსა,
სამშობლოს ბედზედ არ ზრუნვენ,
«მოდებს» უცქვეტენ ყურებსა.

—

ვკვირობ, რა მოხდა ესეთი,
რამ დაუმდაბლათ სულია?!
რომ აღარ უძგერსთ არც ერთს მათ
მამულის დარდით გულია.

—

მამა-პაპური ზნე-წესი
სრულად აღგვილა მათშია,
ქართველი ქართველს აღარ ჰგავს,
შინ ნახო, გინდა კარშია.

—

მე იმ დროს შვილი გახლავარ,
როს ჩვენი ერი—ერობდა,
ქართველი ქალის სიმხნევე
ამ ერის სახელს ამკობდა.

—

ეხლა განა გვყავს ქართველი,
ჭირშია შეუდრეკელი?
თვისის სიმხნით და ქველობით
ერთი, ასისა მძლეველი?

—

ძლარსად, მოკვდნენ, წავიდნენ,
თან გაჰყვეთ ჩვენი დიდება,
და ამის მხედველს, რად გიკვირს,
რომ მუდამ მქონდეს გოდება...

ქაიხოსრო გელოვანი.

---

## ალექსანდრე პირველი.

### სერბიის კაროლი

დღეს მთელის რუსეთის და ევროპის ყურადღება მიქცეულია ამ ჩვიდმეტის წლის ახალგაზდა სერბიის კაროლზედ, რომელმაც თავის წლოვანების შეუფერებელი მხნეობა და ხასიათის ძლიერება გამოიჩინა. ერთს სადილზედ მიიწვია ამ ახალგაზდა კაროლმა სერბიის რეგენტები, ყოვლად შემძლებელნი თავის ქვეყანაში—რისტიჩი და ბელიმარკოვიჩი, სადილს შემდეგ დაატყვევებინა ისინი და გამოაცხადა მეორე დღეს, რომ უკვე სრული წლოვანი მეფე შევიქენი, აპეკუნები აღარ მჭირიაო. შემდეგ ის გამოვიდა და წავიდა სატახტო ქალაქის საკრებულო ტაძარში, რომ სერბიის მიტროპოლიტის, ლოცვა-კურთხევა მიეღო. ხალხმა დიდის აღტაცებით განუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადა მადლობა თავის ახალგაზდა მეფეს, რომელმაც განათავისუფლა თავის საკაროლო გვარი რეგენტების ძალ-მომრეობისაგან. ამბობენ, ვითომც რისტიჩსა და ბელიმარკოვიჩს განზრახვა ჰქონოდესთ, ობრენოვიჩების საკაროლო ოჯახი სერბიის ტახტიდგან გადაეგდოთ და მის მაგიერად კარაგეორგიევიჩების გვარი უნდა გაემეფებინათო. ვითომც ეს ამბავი ალექსანდრეს მამას, მილანს, წერილით მიეწეროს შვილისთვის და შვილსაც ამის გულისთვის გადაეყენებინოს რეგენტები. ამან ჩააბარა პირველი მინისტრობა თავის აღმზრდელს დოკიჩსა. ეს კაცი თურმე ძალიან მაგარი ხასიათის და თავის სამშობლოს მოყვარულია. იმას განზრახვა აქეს მხოლოდ შინაური სახელმწიფოს საქმეები გამოასწოროს და გარეშე სასახელმწიფოების პოლიტიკაში არავითარი მონაწილეობა არ მიიღოს, მით უფრო რომ შინაურს გამგეობაში სახელმწიფო წეს-წყობილება, ესრედ წოდებული კონსტიტუცია, ძლიერ მოეშვა და სერბიის ერი გადაეჩვია კანონის მტკიცედ ასრულებას. ალექსანდრე I, კაროლი სერბიისა, დაიბადა 14 აგვისტოს 1876 წელს, იმ საშინელს დროს, როდესაც მამა მისი კაროლი მილანი განაგებდა სერბიას და ოსმალეთთან საშინელი ომი იყო გამართული. ძლევა-მოსილმა ოსმალოს ჯარმა აბდულ-კერიმის თაოსნობით კიდეც დაიჭირა ნახევარი სერბია და რომ რუსეთს არ დაეყენებინა ოსმალეთი, ახლა სერბიის დამოუკიდებლობის ხსენებაც აღარ იქნებოდა. დედა მისმა ნატალიამ დიდი ყურადღებით დაუწყო შვილს ზრდა და 1887—1889 წლის განმავლობაში მან შემოატარა შვილი მთელს ევროპაში, აჩვენა რუსეთი, შემდეგ იტალიის სატახტო ქალაქი ფლორენცია და ბოლოს ეს ახალგაზდა ყმაწვილი 1889 წელს დედასთან ერთად ატარებდა ზაფხულს ვისბადენში მადნის წყლებზედ. იმ დროს კაროლი მილანი და მისი მეუღლე ნატალია გაყრილი იყვენ. მეფემ პოლიციის საშუალებით დედას მოაშორა, მკერდიდან მოჰგლიჯა, თავისი შვილი და მოაბრუნა სერბიაში. შემდეგ მილანმა უარ-ყო მეფობა და შვილი გაამეფა. რადგან ალექსანდრე ჯერ კიდევ მცირე წლოვანი იყო, მას დაუნიშნა რეგენტებად ბელიმარკოვიჩი და რის-



ალექსანდრე პირველი

ტიჩი. 1891 წელს ალექსანდრე I, კაროლი სერბიისა, ეწვია რუსეთის ხელმწიფეს და უნდა ვიფიქროთ, რომ იქ ნათლად დაანახვეს ახალგაზრდა მეფეს, თუ რისტიჩი და ბელიმარკოვიჩი რანაირადაც უგებდენ მახეს მის სამეფო გვარს ობრენოვიჩებს. იმანაც მარჯვე დრო შეურჩია და რეგენტები ადრე განაძევა სამსახურიდან. ამასწინედ სერბიის კაროლევის ნატალიას მოთხრობა «დედა» იყო «კვალში» დაბეჭდილი ზღაპრად. ეს ამბავი შეეხება იმ დროს, როდესაც დედას საყვარელი შვილი ალექსანდრე მოჰპარეს და წამოიყვანეს სერბიაში.

ახალგაზრდა კაროლს, ალექსანდრეს, დღეს განზრახვა აქვს, თავისი განშორებული დედ-მამა ისევ შეარიგოს ერთმანეთთან და დააბრუნოს სერბიაში.

«კვალი».

## პედაგოგიკის ისტორიიდგან

(გაგრძელება *)

### ბავშვების აღზრდა რომში.

რომაელები პრაქტიკული მიმართულების ხალხი იყო; ისინი ყოველთვის და ყველგან ეძებდნენ სარგებლობასა. რომაულს აღზრდას ამის მიხედვით პირველ ხანად ჰქონდა პრაქტიკული ხასიათი, განსაკუთრებით 146 წლამდის ქრისტეს წინ, როცა რომმა დაიმორჩილა საბერძნეთი, და ძირითად შეიცვალა ძველი რომაული ცხოვრება ბერძნების კულტურის ზედ-გავლენის ქვეშე.

ღრმად შეგნებული ზნეობითი საფუძველი რომაული ოჯახის დედა-ბოძს შეადგენდა. საზოგადოდ რომაელთ ცხოვრება იყო ისეთივე მარტივი, როგორიც იყო ცხოვრება სპარტანელთა. ომი, მიწის მუშაობა და ურთიერთობრივ დამოკიდებულებათა სიმარტივე თითოეულს რომაელს მიზნად ჰქონდა ცხოვრების დროშაზედ დაწერილი. მამულის გულწრფელს და თავგაწირულს სიყვარულს, სიმხნე-სიმამაცეს და საგმირო საქმეებს ბრძოლის ველზედ შეეძლოთ მიენიჭებიათ კაცისთვის გულითადი თანაგრძნობა და პატივისცემა მთელი საზოგადოების მხრით. რომში თითოეული მოქალაქე იყო მხედარიც და მისდევდა უბრალო, მარტივს ცხოვრებას. ომი შეიქმნა რომაელისთვის ლხინად, გასართობ სათამაშოდ და მოთხოვნილებად.

პირველ ხანად ოჯახურს ცხოვრებას რომში სოფლური ცხოვრების ხასიათი ჰქონდა. უფროს ერთი რომაელთ წარჩინებული და დიდებული პირებისა სოფლად სცხოვრებდა და რომში მხოლოდ რაიმე საქმისთვის თუ ჩამოვიდოდა. მამა ოჯახის სრული ბატონი და პატრონი იყო და სახელმწიფო კანონდებლობაც მას ოჯახში სრულს ბატონობას ანიჭებდა. მამას შეეძლო პასუხის უგებლად სახელმწიფოს სამართლის წინაშე გადაეგდო ახლად-შობილი ბავშვი, თვით დაპატრონებოდა შვილების ყოფა-ცხოვრებას, გაეყიდა შვილი და—სიკვდილითაც დაესაჯა. მაგრამ, ისტორიკოსის შლოსსერის სიტყვების თანახმად, უნდა ვთქვათ, რომ რომში შვილს მამა დიდის სიყვარულით ეპყრობოდა და არასოდეს უსამართლოდ მას არ დაჩაგრავდა. ძველს რომში ოჯახი იყო მფარველი საზოგადოებრივი ზნეობისა და მქუდროებისა; და იქ ნაკლებად საჭირო იყო სასამართლოები და დაწერილი კანონები. რომაელები ბერძნების მსგავსად საზოგადოდ როდი ეტანებოდნენ ცხოვრებას, ალსავსეს კმაყოფილებითა და სიტკბოებითა. გასართობ საშუალებად რომაელებს მიაჩნდათ დოდი და სამხედრო ვარჯიშობანი.

ქალს ოჯახში და საზოგადოებაშიაც ძალიან დიდი გავლენა და მნიშვნელობა ჰქონდა. ქალი რომში მარტო სახლში კი არ იჯდა, საშინაო. საოჯახო

* იხ. «მწყემსი»-ს მე-9 №, 1893 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეებით კი არ იყო მხოლოდ გართული, არამედ იღებდა მონაწილეობას ყოველს საზოგადოებრივს საქმეში. ქვეყნის ავი და კარგი, სამშობლოს ჭირი და ლხინი მას იქ მამაკაცზედ ნაკლებად არ ესმოდა, —საზოგადო საქმისთვის, საქვეყნო მოღვაწეობისთვის მას ძლიერად უცემდა გული და სცდილობდა მამაკაცთან ერთად მასაც ეწია მძიმე უღელი ცხოვრებისა.

ქალები იქ იღებდნენ თითქმის ისეთსავე სწავლა-განათლებას, როგორსაც იღებდნენ მამაკაცები. ღრმად განათლებულს ქალს ჰქონდა დიდი საკეთილო გავლენა შვილებზედ, რომელთ გულში ის ზრდიდა გრძნობას მამულის და მოძმის სიყვარულისას. ქმრიანს ქალს დიდს პატივს სცემდნენ ყველგან; მისს აზრს, მისს სიტყვა-პასუხს მოწიწებით ისმენდნენ საზოგადოებაში. განქორწინება იშვიათი მოვლენა იყო რომში და დიდს სირცხვილად ითვლებოდა. ბავშვები ოჯახშივე ეჩვეოდნენ სისუფთავეს, სიმტკიცეს ხასიათისას, სიმართივეს და კეთილ-შობილურს თავაზიანობას. ეს თვისებანი ბავშვებს გამოქონდათ ოჯახიდგან და მშვენიერად მოწყობილი საზოგადოებრივი ცხოვრების ზედ-გავლენის ქვეშე უფრო უვითარდებოდათ შემდეგში. ციცერონი აი რას ამბობს რომაული აღზრდის მიზნის შესახებ: «რომაელთა ბავშვები იმ მიზნით იზრდებიან, რომ შემდეგში მამულისთვის სასარგებლონი დარჩნენ; ამიტომ ისინი უნდა აღვზარდოთ სახელმწიფოს სარგებლობის თანახმად და მამა-პაპების ჩვეულებათა გავლენის ქვეშე, მამულმა მოგვცა ჩვენ სიცოცხლე და აღზრდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ ჩვენ შემდეგში მის სარგებლობას შევსწიროთ უძვირფასესი და საუკეთესო ძალები ჩვენის სულისა, ნიჭისა და ჭკუისა».

სჯულ-მდებლობის მიერ რომში სასტიკად იყო აკრძალული ბავშვის მოკვლა როგორც საშოში, ისე დაბადების შემდეგ, თუმცა კი ხშირი იყო მაგალითი უკანონოთ შობილთა სხვის კარზედ დაგდებისა. მამა უმახლობელესს მონაწილეობას იღებდა ბავშვთა აღზრდაში. ახლად-შობილს ბავშვს იატაკზედ სდებდნენ, მამა შემოდიოდა და ხელში იყვანდა. ამით ის ამტკიცებდა, რომ ბავშვი მისი საკუთარი შვილი იყო და იღებდა თავის თავზედ მის აღზრდისათვის ზრუნვას. სახელს არქმევდნენ ქალს მერვე დღეს და ვაჟს—მეცხრეს შემდეგ შობისა. ეს დღე რომაელისთვის დღესასწაულ დღედ ითვლებოდა: იწვევდნენ ნათესავ-ნაცნობებსა და ლხინს მართავდნენ. ამის შემდეგ ბავშვი დედის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა: მის კეთილ-გონიერებაზედ იყო დამყარებული ბავშვის სხეულის აღზრდა. მის თანაშემწედ ითვლებოდა ძიძა (nutrix). დედა ერთნაირად ზრუნავდა ვაჟებზედ და ქალებზედ. ის ცდილობდა შვილები ზნეობის გამხწნელს გარეშე გავლენათა არ დამორჩილებოდნენ და აეშორებია მათთვის ეს გავლენანი. დედას დიდი გავლენა ჰქონდა შვილებზედ არა თუ მარტო მათი ბავშვობის, არამედ დიდობის დროსაც. ერთხელ კორიოლანი, შეურაცხყოფილი თანამემამულეთაგან, სამშობლო ქალაქს რომს გაუდგა და მტრები გარსშემოარტყა. ხალხი შეშინდა, სასოწარკვეთილებას მიეცა, შველას არსაით ხედავდა. სწორედ ამ დროს რომაელი ქალი ვეტურია, დედა კორიოლანისა, მიდის მტრის ბანაკში შვილის სანახავად. ის ცხარე ცრემლის ღვრით სთხოვს შვილს, ხელი აიღოს მამულის განადგურებაზედ. გამძვინვარებული კორიოლანი ხედავს მშობელი დედის ცრემლს, გული ულბილდება და თავს ანებებს თავის ცუდს განძრახულებას. კორნელიამ თვისი შვილები: კაი და ტიბერი გრაკხები აღზარდა დაჩაგრული გლეხების სახსნელად და თვით ამხნევებდა მათ ბრძოლის დროს. ეს ორი მაგალითი საკმაოა, რომ დავახასიათოთ ის დიდი ზნეობითი გავლენა, რომელიც დედებს ჰქონდათ თავის შვილებზედ რომში.

ილ. ფერაძე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენ მოძმეთა საყურადღებოდ.

### (სურათები).

როდესაც მოწაფე სასწავლებლის სკამზედვე ზის, მას ბევრი რამ კარგი აზრი და ფიქრი უტრიალებს თავში და ელის ცხოვრებაში გამოსვლას, რომ ყოველივე ეს აზრი და ფიქრი საქმით განახორციელოს. იგი ჰფიქრობს, კეთილად წარმართოს თავისი ცხოვრება, კეთილ გზაზე დააყენოს თვისი მიმოსვლა და ვიდრე სული ედგმება, ებრძოლოს თვალ-საჩინო უწესოებას. მაგრამ აასრულებს კი ყოველივე ამას ცხოვრებაში? უმეტესობას ფიქრი ფიქრად რჩება და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ეძლევა ცხოვრების ტალღების ზედმოქმედებას. ყოველივე ეს, სხვათა შორის, იმისაგან წარმოსდგება, რომ სასწავლებლის კედლებში შეძენილი ცოტაოდენი ტეორიული მასალით პრაქტიკულს ცხოვრებაში კაცი ბევრს რამეს ვერ გააკეთებს, თუ ცხოვრებაშივე არ იმეცადინა თავის განვითარებას სხვა-და-სხვა საშუალებით და ცხოვრების ასპარეზზედ მომქმედ პირთა მიხედვით. კაცის გონებას სწავლა არასოდეს არ მოსჭარბდება და ამიტომ კაცი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, რომ სასწავლო საგნებიდგან მიღებული მასალა თანდათან შეიმუშაოს, პრაქტიკულად განახორციელოს და შეძლებისა დაგვარად გამოცდილება შეიძინოს. ვინ იქმნებოდა გამოცდილი და შეგნებული, თუ ვისმეს გამოცდილება არ მოეპოებია ცხოვრებაში სხვა-და-სხვა გზით და, სხვათა შორის, გამოცდილ პირთაგან? მაგრამ ზოგიერთებს, ვითომ და გამოცდილ პირებს, როგორც მათი ყოფაქცევა გვიმტკიცებს, სულ სხვანაირად შეუძენიათ ყოველივე ცხოვრებაში და არა ხსენებულის გზით. ეს პირები სულ სხვა მაგალითს უჩვენებენ ახალთაობას. იგინი თვისის ყოფაქცევით ცხადად ულაპარაკებენ მათ, რომ საზოგადო კეთილ ფიქრს და კაცურად ცხოვრებას სჯობს: კოლოტივით გაიბეროთ, თქვენი აზრი და ცოდნა სხვას არავის გაუზიაროთ, ერთმანეთი უთავბოლოდ ჰკიცხოთ, საწყალი და უპატრონო დასჩაგროთ, მალულად კერძო და პირადი საქმე აკეთოთ, ხალხში კი სიტყვით იყვიროთ საზოგადო საქმეზე, სხვის თვალში ბეწვი ეძიოთ, თქვენ თვალში დირეც დაფაროთ და თუ რამე შემთხვევით მართლა გააკეთოთ, იმაზე მთელი ქვეყანა შეაწუხოთ და სხ...

ყოველივე ეს სამწუხარო მოვლენა ცხადად დამანახვა ამას წინეთ სოფლიდან ქალაქში მოგზაურობამ. როგორც სოფელში მცხოვრები, ქალაქში მოვდიოდი იმ განზრახვით, რომ ვინმე მენახა და რამე შემეძინა დაწინაურებულ საზოგადოების წევრთაგან. ქალაქში გავიგე, რომ თავად-აზნაურობას კრება აქვსო. ვისურვე უბრალო მსმენელად მაინც მოვხვდროდი ამ კრებაზე. სურვილი აღსრულდა, მაგრამ სურვილის შედეგი კი გამიმტყუნდა. კრებას მართლა კარგი საგნები ჰქონდა განსახილველად, მაგრამ მოსალოდნელ მსჯელობას კი კრების ნაკლები რიცხვი ეწევოდა. უმეტესი ნაწილი საზოგადოების წევრთა უზომოდ აღშფოთებულიყო და უთავბოლოდ გაიძახოდა: «ეს გვინდა, ის გვინდა, ეს არ გვსურს»-ო. თავმჯდომარე, ზარის ხანგრძლივი რაწკუნის შემდეგ, შესდგა სტოლზე და აღშფოთებულ მოძმეებს მოახსენა: «მშვიდობით, ძმებო, ნახვამდის, მე თქვენთან ვერა გავაწყე რა», ყველას თავი დაუკრა და წაბრძანდა შინ. ამგვარად კრების სხდომა გადაიდვა შემდეგისათვის.—კრების მოქმედებით გულდაწყვეტილი დავბრუნდი შინისკენ ჩაფიქრებული და მაშინ მომეცა ცოტა იმედი, როდესაც ქუჩაზე, ჩემის აზრით, ერთი ჩვენი გამოცდილ პირთაგანი ვნახე. ამ ვითომ გამოცდილ პირს მე ჯერ თავაზიანი სალამი მივეცი და შემდეგ ამ კრების შესახებ ვკითხე ორიოდე სიტყვა. ჩვენმა მოწინავე გამოცდილმა პირმა ქუდი მოიხადა და მაღლა დაიწყო ყურება. მე თვალწინ წარმომიდგა ზოგიერთა კეთილ-მორწმუნე პირების ჩვეულება, რომელნიც ყოველივე საქმის დაწყების წინ და დასრულების შემდეგ ღმერთს ადიდებენ და ულოცველად არასფერს საქმეს არ შეუდგებიან; მეგონა, თუ ჩემი მოსაუბრეც ამ წესს ასრულებდა და პასუხის მოცემამდის ღვთის ვედრება უნდა-თქო და ამისთვის მასთან მეც მოვიხადე ქუდი, რადგან მსურდა მისი ლოცვის მოსმენა. ნაცვლად ლოცვისა პატივცემულმა პირმა მრისხანედ შემომხედა და მიპასუხა: «უბრალო მღვდელს არა აქვს ნება, რომ ჩემთან ილაპარაკოს და რამე კითხვა მომცეს»-ო- ამ სიტყვების გამგონემ, ღმერთს მადლობა შევსწირე, თავზე ქუდი დავიხურე და მოვშორდი მრისხანე მოსაუბრეს. ცოტა მანძილი რომ გავიარე, მოვიბრუნე გული და შევხედე იმ ჩვენს გამოცდილს პირს; მაშინ კიდევ სულ სხვა სურათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეჩვენა. განრისხებულს ჩემ მოსაუბრეს ცალ ხელში კრაველის ქუდი ეკავა და მეორე ხელში ჯოხ დაჭერილი მუქარით თავს მიქნევდა. როგორც შემდეგში შევიტყე, ხსენებული პირი კეთილ-წესიერების დამცველი ყოფილა და თვისი კეთილ-წესიერება იმაშიდაც გამოიჩინა, რომ უბრალო კითხვით განრისხებულმა, მოციქულებს, წმ. მამებს და პირველად მღვდლის ხარისხის დამწესებლებს წინ უსწრო და ასეთ საღმრთო ხარისხს «უბრალო»-დ უწოდა. რომ მაგონდებოდა იმ მრისხანე პირის პასუხი, თან-და-თან მწარე ოცნებაში შევდიოდი, მაგრამ ისევ გულს ვიბრუნებდი ბუნების იმ გამოურკვეველი კანონით, რომ ძლიერთან უძლური ყოველთვის დამნაშავეაო და ამ სიტყვებით ვითომ ნანუგეშები წინ მივდიოდი. —რადგანაც ველარასფერი ვნახე სასიამოვნო იმ ქამად ქალაქში, ყველანი უთავბოლოდ მედიდურობდენ და რაღაცა გამოურკვეველ ოცნებას მისცემოდნენ, მე ვარჩიე ისევ სოფელში დაბრუნება; მაგრამ სწორედ ამ დროს ჩემი ყურადღება მიიქცია კიდევ ერთმა პირმა. ერთს პატივცემულ პირს მოენახა მყუდრო ადგილი ქალაქის განაპირა ეკკლესიასთან და თავჩაკიდებული რაღაცა მდუმარებას მისცემოდა. ამ მოწყენილ პირს ერთ ხელში საანგარიშო ჩოთქი ეჭირა და მეორეში გაზ. «ივერიის» №-რი, საწერი ქაღალდით და წითელი ყარანდაშითურთ. რადგანაც ის პატივცემული პირი საქმეში იყო გართული, მე მისთვის არც სალამი მიმიცია და არც მიკითხავს რა; ამასთანავე ისიც მახსოვდა, თუ რა შემამთხვია წინაზე თავაზიანმა სალამმა და ორიოდე კითხვამ. შორიახლოდგან მივსჩერებოდი იმ პირს და მსურდა ჩემით მაინც შემეტყო: რას ჯავრობდა პატივცემული მოანგარიშე. როდესაც ჯავრიდგან მოსილმა ანგარიში სრულებით გაათავა, გაზეთ «ივერიის» №-რი ხელიდგან უნებურად გაუვარდა, საანგარიშო ჩოთქი ზედ გულმოსულად დაარტყა და თავი მაღლა ასწია. ყოველივე ამის მაყურებელმა გაქცევა დავაპირე, რადგან უწინდელი მაგალითი მახსოვდა, მაგრამ გაჯავრებულმა პირმა თვითონვე მიმიწოდა და ვინაობის კითხვის შემდეგ გულმოსულად მკითხა: «მე მიცნობთ, ვინა ვარ?» მე მოწიწებით ვუპასუხე კითხვაზე ყოველივე ის, რაც ვიცოდი მისს ვინაობაზე, მაგრამ მან აღარ გამათავებინა და თავისი ვინაობა თვითონვე მრისხანეთ გამაცნო. მე, დაიწყო გულმოსულმა მოანგარიშემ, კეთილ-წესიერების თანამდებობის აღმასრულებელი ვარ და ამითი ვაუწყებ მთელ სოფლის სამღვდელოებას, რომ მათ უუზომო ჯამაგირი ენიშნებათ, მაგრამ ჩვენ კი..... და უეცრად გასწყვიტა ბაასი. მე მადლობა შევსწირე და უკან დაბრუნება ვარჩიე, რადგან დაწვრილებით შევიტყე, თუ რაში იყო საქმე. მრისხანეს ის №-რი ჰქონდა «ივერიისა» და სწორედ ის ადგილი შემოეხაზა წითელი ყარანდაშით, სადაც შეცდომით იყო განმარტებული უწმ. სინოდის უქაზი სამღვდელოების ჯამაგირების დანიშვნის შესახებ. ხსენებულ პირს, როგორც მისის ანგარიშიდან ჩანდა, იმაზე მოსდიოდა გული, რომ თუ სოფლის მღვდელს 600 მან. დაენიშნა მართლა, მთავარს 300 მ. და დიაკონს 200 მანეთი, მე რაღა უნდა დამრჩესო. მოულოდნელს მახარობელს მე თავი დაუკარი და დიდის მადლობით განვშორდი. განვშორდი, მაგრამ ცნობის მოყვარეობამ მაინც კიდევ მიმახედვინა იმის შესატყობათ, თუ რა მდგომარეობაში იყო მრისხანე. მას ხელში აელო «ივერიის» №-რი და საანგარიშო ჩოთქი, შემდეგ ქუდი მოიხადა და ჩრდილოეთისკენ დაიწყო ხანგრძლივი ყურება; მისი მოსამსახურე კი იქით-აქეთ დარბოდა ბატონისთვის «ფაიტონის» საშოვნელად. მე მალე გამოვბრუნდი, რადგან დიდი მანძილი მქონდა გასავლელი ქალაქიდგან სოფლამდის. გზაზე სხვა-და-ფიქრებმა გამიტაცეს; სხვათა შორის, მომაგონდა ერთი ჩვენი პატივცემული მწერლის სიტყვებიც:

«ვინც რომ მხოლოდ იბრძვის
კოლოტივით ამ სოფელში,
იმას რჩება მოედანი
და ბურთიცა მას აქვს ხელში».

და ამ აზრით გამსჭვალული მივუახლოვდი კიდეც სოფელს.

მღვ. ი. გარ—ელი.

## მღვდელი გიორგი დუმბაძე.

ხშირად შეხვდებით კაცს, რომელიც აღჭურვილია სწავლით და მეცნიერებით და თქვენ ფიქრობთ, რომ ამისთანა კაცს დიდი ნაყოფის მოტანა უნდა შეეძლოს და დიდი გავლენაც უნდა ჰქონდეს სხვა მოძმეთა და მოყვასთა უფრო მცირე ნასწავლ და განუვითარებელ პირთა ზედა. მაგრამ ზოგიერთებში ამ სწავლა-მეცნიერებას შესაფერი ნიადაგი ვერ მოუპოვებია და ამიტომ სულ სხვა შედეგს ხედავთ. ხშირად შეხვდებით ისეთ პირთაც, რომელთაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე განათლება მიუღიათ, მაგრამ ამ მცირე განათლებას ისეთი ნიადაგი დახვედრია კაცში, რომ მასს დიდი ნაყოფი მოუტანია და დიდი გავლენაც მოუპოვებია მოძმეთა და მოყვასთა შორის. სწორედ ამ უკანასკნელი კაცების რიცხვს ეკუთვნოდა აწ უკვე განსვენებული მ. გიორგი დუმბაძე. ეს უბრალო სოფლის მღვდელი ისე უხვად იყო დაჯილდოებული ჭეშმარიტი ქრისტიანული ყველა თვისებით, რომ განსვენებულის ორიოდე სიტყვა და ერთი მისი შეხედვა საკმაო იყო, რომ კაცს ეთქვა: აი სწორედ ჭეშმარიტი ქრისტიანი მოძღვარი, აღზრდილი საქართველოს ნიადაგზედ მაცხოვრის სახარებისამებრ. მ. გ. დუმბაძე უკიდურეს სიღარიბეში ყველაზედ მდიდრად სთვლიდა თავს; უბრალო სოფლის მღვდელი, გარემოცული ქვეყნიური ათასნაირი ამაოებით და უსიამოვნებით, პირველ მოსამსახურედ რაცხდა თავის თავს, როგორც მოძღვარი მაცხოვრისა. ის ყოველთვის ხელმძღვანელობდა მაცხოვრის მცნებითა: «შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი». ამ მცნების ხსოვნა საკმაო იყო განსვენებულისთვის, რომ იგი სახარების მცნებებს არ გარდასულიყო თავის მოქმედების დროს. მ. გ. დუმბაძე ჭეშმარიტი მოძღვარი და ნამდვილი მზრუნველი მამა იყო სამწყსოსათვის. რაც უნდა დიდი განათლების და ნამსახურების მქონეც უნდა იყოს დღეს კაცი, ძნელად მოიპოვებს იგი იმ პატივს, იმ სიყვარულს და მოძღვარ-მოწაფეთა შორის იმ კეთილ-განწყობილებას, როგორი პატივისცემაც მოპოებული ჰქონდა მამა გიორგის. რა იყო მიზეზი ამ მშვენიერი მოძღვარ-მოწაფური კეთილ-განწყობილებისა და ურთიერთის პატივისცემისა? აი როგორ იქცეოდა მ. გ. დუმბაძე სამრევლოში: როდესაც გარდაიცვლებოდა მის სამრევლოში ვინმე, მ. გ. მაშინვე გამოცხადდებოდა ჭირისუფალის სახლში, ან და სიკვდილის დღეს გარდაცვალებულის ოჯახში იყო. ანუგეშებდა სნეულს, ხოლო გარდაცვალების შემდეგ უსრულებდა საჭირო მღვდელ-მოქმედებას და, კაპეიკიც რომ არ მიეცათ მ. გიორგისთვის, ის არასფერს არ ეტყოდათ. კარგად იცოდა, რომ მისი მოწაფე მის შრომას უსასყიდლოთ არ დასტოვებდა. ჭირისუფალს ერთ თვეს იქით მიჰქონდა ფული თავის მოძღვართან.

— ბატონო მოძღვარო, მოგართვი შენი ახი, მიიღეთ საწირავი, ეუბნებოდა მ. გიორგის ჭირისუფალი.

— დათვალე, შვილო რამდენია, უპასუხებდა მ. გ. დუმბაძე.

მომტანი ითვლიდა ფულს და აღმოჩნდებოდა ან თუმანი ან 6 მ. და ან მეტი.

— გაყავი ეგ ფული შუაზედ, ნახევარი მე მომეცი და ნახევარი უკანვე წაიღე, შვილო, ეტყოდა მ. გიორგი ფულის მომტანს. მომტანი ხშირად უარზე იდგა და არ მიქონდა ფული უკან. მ. დუმბაძე კი ნახევრის მეტს არ იღებდა იქიდგან, რასაც საწყალი გლეხი მიუტანდა მას თავის სურვილით. ვსთქვათ, მ. დუმბაძე ხედავდა, რომ მისი სამწყსო შევიწროებული იყო უგზობით და უხიდობით. ამ შემთხვევაში მ. გ. დუმბაძე პირველი ინჟინერი იყო; სანამ ჩინებულ გზატკეცილებს არ გაიყვანდა თავის სამრევლოში თავისივე სამრევლოის დახმარებით და საშუალებით, ის ვერ მოისვენებდა. იმას არ უმაგრდებოდა არც კლდე და არც მთები. მ. გიორგიმ იცოდა, თუ რა გაჭირვებული საქმე აქვს სოფლელებს ხიდების უმქონებლობით. ყოველ ღონისძიებას ხმარობდა იგი, რომ ხიდები გაკეთებულიყო წყლებზედ და ხალხს გაადვილებოდა ერთმანეთში მიმოსვლა.

მოგვყავს ზოგიერთი ცნობები მ. გ. დუმბაძის შესახებ ბ. დ. ბაქრაძის მიერ შედგენილი წიგნიდგან **არქეოლოგიური მიზნით მოგზაურობა გურიასა და აჭარაში**, გამოც. 1878 წ. აი ეს ცნობები:

«მე ვათავებ ამ გრძელ მოთხრობას, მაგრამ აქვე არ შემიძლია რამდენიმე სიტყვა არა ვსთქვა ერთს ფრიად შესანიშნავ პირზე, რომელიც მე ვნახე შემოქმედში; ეს არის შემოქმედის მკვიდრი მღვდელი გიორგი დუმბაძე შობიდგან 90 წ. მეტი, მაგრამ სიმხნით და გონებით იგი სრულებით არა ჰგავს ამ ხნის კაცს. ამ 40—50 წლების წინათ, როცა ჩურუქ-სუში ქრისტიანობა ჯერ კიდევ მთლად არ ყოფილა მოსპობილი და როცა ყველა აქაური ტაძრები ხელშეუხებელნი ყოფილან, მ. გიორგი გურიის სხვა მღვდლებთან ერთად, ადგილობრივ მკვიდრთა თხოვნით, დაიარებოდა თურმე აქ სხვა და სხვა მღვდელ-მოქმედების შესასრულებლად, 1820 წელს, აპრილის თთვეში მ. გ. დასწრებია და თავის თვალით უნახავს, როცა აქ პოლკოვნიკი პუზირევსკი მოუკლავსთ და მისი სიკვდილის ამბავი ისე მიამბო მ. გიორგიმ, როგორც ეს შემთხვევა მოხსენებულია ოფიციალურ საბუთებში. 1828 წ. მ. დუმბაძეს მონაწილეობა მიუღია რუსეთის ომში სათათრეთის წინაამდეგ და გენერალ გესენის ჯართან ერთად ყოფილა ჩურუქ-სუში და ციხისძირში. მ. დუმბაძეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგად ახსოვს უკანასკნელი იოსებ შემოქმედელი, რომელიც, როგორც მითხრა, ყოფილა თაყაიშვილების გვართაგანი. ზოგიერთი ცნობები, რომელიც მე შევიტყე მ. გიორგისაგან და რომელნიც შეეხებიან გურიის მფლობელთ—სვიმონს და მას შვილს—გურიის მფლობელს მამია მეხუთეს, ეთანხმებიან ჩემ მიერ შეკრებილ წერილობით საბუთებს. მან დაწვრილებით მიამბო, თუ როგორ სწარმოებდა გურიაში ტყვეების გაყიდვა, როგორ სწვავდენ ცოცხლად ამ საქმეში დამნაშავეთ; მიამბო მან «ღვთის მსჯავრზე» ანუ ეგრედ წოდებულის ერთმანეთის შეჩხუბებით თავის გამართლებაზე, გახურებული რკინის დ დუღარე წყლის საშუალებით დამნაშავის გასამართლების შესახებ, რომელიც შემოღებულია არიელებისაგან. ეს წესწყობილება შემოღებული იყო მთელს საქართველოში და მე-XVIII საუკუნეში მეფე ვახტანგ მეექვსემ შეიტანა თავის სამართლის წიგნში მუხ. 37, 38, 39 და 62. აი რას მოგვითხრობს მ. გიორგი იმ სასამართლო წესზე, რომელსაც გურიაში და მთელს საქართველოში უწოდებდენ **შანთს**.

«შანთს და მდუღარე წყალს, ამბობს მ. გიორგი, ხმარობდენ საზოგადოდ დიდ დამნაშაობათა შესატყობად, როგორიც იყო კაცის კვლა, ტყვეთა გაყიდვა და სხვები. ბრალდებულის ნება იყო, რომელ სასჯელსაც აირჩევდა. ყოველივე ამას აცნობებდენ გურიის მფლობელს და შემდეგ იწყებოდა წვალება. ბრალდებულს მღვდელი უკურთხევდა ზეთს, იგი ესწრებოდა, როცა 7 დღის განმავლობაში ბრალდებული ლოცვილობდა და ბოლოს მღვდელი აღსარებას ათქმევინებდა დამნაშავეს. თუ აღსარების დროს დამნაშავე აღიარებდა თავის დამნაშაობას, მაშინ **შანთის** ანუ დუღარე წყლის ხმარება საჭირო აღარ იყო და დამნაშავეს სჯიდნენ; თუ არ გამოტყდებოდა, მაშინ დამნაშავის გამოსატეხად ნიშნავდნენ უმეტესად იმ ადგილს, სადაც გურიის მფლობელს ჰქონდა საცხოვრებელი ბინა, ოზურგეთში, შემოქმედში ანუ დუაბზუში. გამოცდა იწყებოდა მფლობელის ანუ რომელიმე მისი მოსამსახურე პირის: მდივან ბეგის, სახლთ-უხუცესის დ ბოქაულთ-უხუცის თანადასწრებით. **შანთი** წონით იყო 1 ოყა, სიგრძით 7 გოჯი და სიგანით კაცის ხელის გულის ოდენა. ამ რკინას გაახურებდნენ სამჯერ მარტო ვენახის ანთებულ ნახშირზე, შემდეგ აილებდნენ საკეცით და გადებდნენ ორ ბოძზე, რომლებიც მიწაში იყო დარჭობილი. ბრალდებულს ხელს გააყრევინებდნენ ერთ ფურცელ ქაღალდში, რომელზედაც შემდეგი ეწერა: «ღმერთო მამაო, ღმერთო ძეო და ღმერთო სულო წმიდაო, თუ მართალი ვიყო, ნუ დამწვავ მე და თუ მტყუანი ვიყო, მაშინ დაიწვას ჩემი ხელი». შემდეგ ბრალდებული ქვემოდგან ჰკიდებდა ხელს **შანთს**, სამჯერ გადახტებოდა და მერე აგდებდა **შანთს**. შემდეგ ბრალდებულს აცვამდენ სუდარს, რომელზედაც დასმული იყო გურიელის ბეჭედი და გზავნიდენ ერთ რომელიმე მახლობელ ციხეში, სადაც მას რამდენიმე დღე ინახავდნენ საზოგადოების ხარჯით, შემდეგ ბრალდებულს უსინჯავდენ ხელს, და თუ ნახავდენ, რომ ხელი დამწვარი ჰქონდა, მაშინ მას სთვლიდენ დამნაშავედ და მართლმსაჯულების ხელში გადასცემდენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ბრალდებულს ამართლებდენ და სანუგეშებლად გამართლებული გურიელის და მოსამსახურე პირებისაგან იღებდა საჩუქრად თოფს, ტანთ-საცმელს და სხვ. ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ ამ სასჯელის სინამდვილეში. ამ საშუალებით, დაუმატა მ გიორგიმ, ყოველთვის იტყობდნენ, ვინ იყო დამნაშავე და ვინ არა. მე თვითონ ბევრჯერ მინახავს, რომ მართალი კაცის ხელი დაუმწვარი რჩებოდა».

მე, როგორც იყო, ვნახე ერთი ფურცელი ქაღალდი, რომელსაც ხმარობდენ ძველად ამ პროცესის შესრულების დროს: ქაღალდი, მართლა, შუაში გამოჭრილია, რომ ხელზე წამოეცვათ დამნაშავისათვის და ზედ ატყვია გახურებული რკინის ნიშნები. ამ ქაღალდზე არის ზედ-წარწერა, რომელიც რამდენიმედ ემსგავსება ვახტანგ მეექვსის კანონის მეშვიდე მუხლის შინაარსს და შეიცავს მთელს ბრალდებითი ფურცელს, სადაც ნაჩვენებია ბრალდებულის დამნაშაობა და თვით ბრალმდებელის გიორგი თაყაიშვილის ვინაობა, რომელიც სცხოვრებდა, როგორც ქაღალდის მეორე გვერდის ზედ-წარწერა გვიჩვენებს, 1811 წელში. აი შინაარსი ამ ქაღალდისა:

„სასწორო და სამართალო: ღმერთო: მამაო: ღმერთო ძეო: ღმერთო სულო წმინდაო: ღმერთო: გეაჯები მე საწყალობელი აბდურამან ქათამიძე: მე რომ გიორგი თაყაიშვილი მეწამება იორდანე ლომჯარია და მისი ცოლშვილი: შენი სიტყვით და საქმობით თათრებმა მოთხარავო: თუ იორდანე ლომჯარია და მისი ცოლშვილი ჩემი სიტყით და საქმობით მოთხრილიყოს ან თავშიდ და ან ბოლოშიდ გამამტყუნე და რაც მტყუანს უნდოდეს ის მიქენი: თუ ჩემი სიტყვით და საქმობით არ მოთხრილიყოს იორდანე ლომჯარია და მისი ცოლშვილი: გამმართლე და ამ რკინის ცეცხლიდამ უვნებელად გამომიყვანე და სხვას ჩემს ცოდვას ამაშიდ ნუ მკითხავ შენი სწორ-მიფერებელი სამ... გამოაცხადე ჩემს ცოდვილს თავზე... უფალო: ამინ:“



მღვდელი გიორგი დუმბაძე

## ახალი ამბები და შენიშვნები.

---

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში განმეორებითი ეგზამენები იწყება 24 აგვისტო-დამ, ხოლო მისაღები ეგზამენები—ამავე თვის 27 რიცხვს.

***

თფილისის ვაჟების მეორე გიმნაზიაში მისაღები ეგზამენები მოსამზადებელი კლასის მეორე განყოფი-ლებაში და პირველ კლასში შემსვლელთათვის და-ნიშნულია აგვისტოს 23 და 24 რიცხვს, ხოლო დამატებითი გამოცდა აგვისტოს ოც-და-სამიდამ 28-მდე.

***

ქუთაისის სავაჟო გიმნაზიაში მისაღები და და-მატებითი გამოცდა ყველა კლასებში დანიშნულია აგვისტოს 21, 23, 24, 26 და 27 რიცხვს.

***

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ინსპექტორი, არქიმანდრიტი ისიდორე (კოლოკოლოვი) დაბრუნებულა პეტერბურგში თავისი ორი თვის მოგზაურობის შემდეგ. მამა ისიდორე ყოფილა იერუსალიმში, ათონში, ათინაში და საბერძნეთის სხვა ზოგიერთ ქალაქებში. დღეს არქიმანდრიტი ისიდორე დაუნიშნავსთ მისიონერად კავკასიაში. საცხოვრებელი ბინა მას დანიშნული აქვს სტავროპოლში ყოვლად სამღვდელო ალაფოდორთან. მ. ისიდორე ინიშნება მისიონერთა უფროსად და თავის გამგეობის ქვეშ ეყოლება 2 მღვდელი—მისიონერი.

***

როგორც სჩანს იერუსალიმიდამ მიღებული ტელეგრამისაგან მისი უწმიდესობა უმთავრესი პატრიარქი ყველა სომეხთა მკრტიჩი I (ხრიმიანი) 5 აგვისტოს გამოემგზავრებოდა იაფფიდამ ეჩმიაძინში. მის უწმიდესობას ეჩმიაძინის სასულიერო დელეგაციის გარდა თან ახლავს ეპისკოპოსი ხაპაიანი. მისი მეუფება ალექსანდრიაში დარჩება 3 დღე, ტრიესტში 2 დღე, ვენაში 2 დღე, ვარშავაში 2 დღე, ოდესაში 4 დღე, ბათუმში 2 დღე, თბილისში 1 კვირა. ოდესაში ქათალიკოსს მიეგებებიან ეჩმიაძინის სინოდის წევრად ყოფილნი ყოვლად სამღვდელონი: პარტიანი და ხუდავერდიანი და აგრეთვე კიშინევის ეპარქიის უფროსი, ეპისკოპოსი გრიგორ ალაპერიანი. ქათალიკოსის ამალა შესდგება 12 კაცისაგან, რომელთათვისაც თფილისში, ეპარქიის უფროსის სადგომში, მომზადებულია 18 ოთახი, ხოლო ქათალიკოსისათვის დამზადებულია ხუთი ოთახი.

***

ინგლისის საკომერციო ფლოტის ინსპექტორი, 80 წლის კაცი, ამას წინად მთავრობამ სამსახურიდგან დაითხოვა მოხუცებულობისა გამო. გულნატკენმა მოხუცმა პირდაპირ გლადსტონს მიჰმართა შემდეგის წერილით: «თუ 83 წლის კაცი კაბინეთის მეთაურობას შესძლებს, ვითომ მე 80 წლის კაცმა რატომ ვერ უნდა შევსძლო ფლოტის ინსპექტორობაო». გლადსტონმა უპასუხა: „მართლა და ჩემო მოხუცო მეგობარო, ვითომ რატომ ვერ უნდა შევსძლოთ სამსახური? ნახავთ, რომ ჩვენ ორივენი კიდევ შევძლებთ სამსახურსა». პრემიერის პროტექციის წყალობით, მოხუცს ინსპექტორს ისევ დაუბრუნეს თავისი თანამდებობა.

მადლობა ღმერთსა! ყოფილა კიდევ შებრალება მოხუცებულთა კაცთათვის...

***

ჩვენ მივიღეთ გაზეთში გამოსაცხადებლად შემდეგი წერილი მღვდლის იოანე სალაძისაგან:

«მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ, რომ თქვენის ჟურნალის «მწყემსი»-სსაშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადოთ როგორც მე ისე ჩემმა მრევლმა ქვემოდ აღნიშნულთ, ღვთის მოყვარე პირთ, რომელთაც შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულს რუფოთის და მაზედ მიწერილს ტელეფის წმ. გიორგის ეკკლესიებს საეკკლესიო ნივთები: გლეხმა მალხაზ მეგრელიშვილმა 3 პირი ტრაპეზის გადასაფარებელი ლიბისა და ფარჩისა; მასზედ დასადგმელი სანაწილე; 1 შანდალი 3 ტოტიანი; 1 დიდი ჯვარი საფეხურიანი; ერთიც პატარა ჯვარი; ეს ნივთები ყველა ფრაჟისაა, და ღირს 80 მანეთი. გლეხ. ეგნატე გოგიაშვილის მეუღლემ სოფიო მეგრელის ასულმა შემოსწირა 1 მოჭედილი სახარება, ღირებული 22 მ. გლეხის ივანე თოდისძის მეუღლემ სალომემ შემოსწირა კრეტსაბმელი თავის მოწყობილობით და სამკვეთლოზე გადასაფარებელი—ღირებული 7 მ. მღვდლის ი. სალაძის მეუღლემ ვარდმა 1 საცეცხლური 5 მან. საღირალი. თავ. გიორგი ს. აბაშიძემ შემოსწირა 1 კანკელი ფრაჟისა, ღირებული 70 მ. გლეხმა თევდორე ლიბრაძემ და მის მეუღლამ ანნამ 1 თანაარსი ფრაჟისა და ტრაპეზის წინ დასაგები ხალი ღირ. ორივე 7 მ.

## † მღვდელი მიხეილ სუხიევი.

11 ივლისს ფილტვების ანთებით გარდაიცვალა ქ. კავკავში მღვ. მიხეილ გაბრიელის ძე ს უ ხ ი ე ვ ი. განსვენებული მ. მიხეილ სუხიევი ჩამომავლობით იყო ოსი, კავკავის მაზრიდგან. მ. მიხეილს თბილისის სასულიერო სემინარიაში ჰქონდა სწავლა დასრულებული 1855 წ. ქართული ენა კარგად იცოდა განსვენებულმა. ქართულ ენაზე საუბარით აკმაყოფილებდა განსვენებული კავკაველთ ქართველობას, რომელთაც არც ეკკლესია აქვსთ საკუთარი, და არც საკუთარი მღვდელი ჰყავსთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი განსვენებულის მ. მიხეილის ნამსახურებითი სია: მ. მიხეილი სწავლის დასრულებისათანავე ხელდასხმულ იქმნა მღვდლად, საქართველოს ეგზარ., აწ განსვენებულის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ისიდორესაგან, 15 აგვისტოს 1855 წ. უდგარონის ოსეთის ეკკლ. მღვდლად; გარდაყვანილ იქმნა არდონის ოსეთისეკკლესიაში 24 მარტს 1857 წ. 7 ოქტომბერს 1859 წ. დაინიშნა არდონის ბლაღოჩინის თანამდებობის აღმასრულებლათ. გულმხურვალე და სასარგებლო სამსახურისთვის, და სანაქებო ყოფაქცევისთვის დამტკიცებულ იქმნა ბლაღოჩინის თანამდებობაზედ 24 ოქტომბერს 1861 წ. რომელსაც აღსრულებდა უკანასკნელ სამსახურის დღემდე. კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისგან დაინიშნა ზედამხედველათ და სჯულის მასწავლებლად კავკავის ოსების ქალების სკოლისა; 29 აგვისტოს 1866 წ. კავკავის ოსების სამრევლოს თხოვნით გადაყვანილ იქმნა კავკავის ოსების ეკკლესიაში ბლაღოჩინობის თანამდებობითვე; 2 სექტემბერს 1866 წ. თავისის სურვილით განთავისუფლებულ იქმნა ზედამხედველობის თანამდებობიდგან კავკავის ოსების ქალების სკოლიდგან, სჯულის მასწავლებლობის დატოვებით; 1868 წ. 6 მარტს სასარგებლო და მუყაითის სამსახურისთვის დაჯილდოებულ იყო განსვენებული შემდეგის ნიშნებით: ნაბედრენიკით, სკუფიით, კამილავკით, მკერდის ჯვრით, და განსაკუთრებით გულმხურვალეთ 12 წ. ბლაღოჩინობაში სამსახურისთვის ყოვლად უმოწყალესად დაჯილდოებულ იქმნა 3 თებერვალს 1872 წ. წმ. ანის მესამე ხარისხის ორდენით. პატივცემული განსვენებული მ. მიხეილ სუხიევი, 1855 წ. მღვდლად ეკურთხა თუ არა, დიდი შრომა ხვდა წილათ; ის თავგამოდებით ზრუნავდა თავის მოძმეთ ოსების განათლებისთვის და მათში მუყაითად ავრცელებდა ქრისტიანობას. ბევრჯელ, როგორც განსვენებული იტყოდა ხოლმე, დიდს განსაცდელს გადარჩენია იგი ქრისტიანობის მტრების ჩეჩნებისაგან. სამგზავროთ წასვლას რომ ვერ ვბედავდით ანაფორით, ჩოხას ჩავიცვამდით, თმას ქუდს ქვეშ შევიკეცდით, იარაღს ავისხამდით და ისე დავდიოდი სოფლითი სოფლად ცხენით და ვქადაგებდი ქრისტეს სწავლასო. აგრეთვე განსვენებული მუდმივი მშრომელი იყო დაუვიწყარი ეპისკოპოზ იოსებთან ერთად სხვა-და-სხვა საეკკლესიო წიგნების ოსურს ენაზე თარგმნის საქმეში. გავლენაც რასაკვირველია, ისეთი ჰქონდა განსვენებულის სიტყვას თავის მოძმეთა შორის, რომ მისი ერთი უბრალო სიტყვაც ოსთა შორის მარგალიტის ალაგს იჭერდა; და ამიტომ თავისი დაუღალავი მეცადინეობით და მოძღვრებით ბევრი ცრუმორწმუნოება მოსპო ოსეთში და მათ მაგივრათ გაიდგა ფესვი ქრისტეს სწავლა-მოძღვრებამ. ბევრი სწავლა-მოძღვრება დარჩა განსვენებულს ოსურს ენაზედ დაწერილი, რომელნიც თავს იჩენენ თავის დროზედ და განსვენებულის სახელს დაუვიწყარს ჰყოფენ ოსებს შორის. დიდი ღვაწლი და მამაშვილური ამაგი მიუძღვის აგრეთვე მ. მიხეილ სუხიევს კავკავის მაზრაში ოსების სამრევლოებში მოსამსახურე ქართველ სამღვდელოებაზედაც. პატივცემული მ. მიხეილ სუხიევი შობიდგან სულ 58 წ. იყო. ჯერ დიდი ნაყოფის მოტანა შეეძლო მას. მაგრამ სამწუხაროდ, ეხლანდელ დროში მცირე შეცდომა დაჰფარავს ხოლმე კაცის დიდს ღვაწლს და შრომას. განსვენებულ მ. სუხიევსაც ასე მოუვიდა, დიდი ღვაწლის შემდეგ, შარშან, კავკავის ეპისკოპოსათ ყოფილმა ყოვლად სამღვდელო იოანიკემ რაღაც მცირე მიზეზისა გამო განსვენებული მ. სუხიევი უადგილოთ დაითხოვა და დღესაც არ არის გათავებული ეს საქმე... ამ დღიდგან დარდით და ფიქრით სულ მოუძლურდა განსვენებული, ახლა ზედ ფილტვების ანთება დაერთო, ველარ შეიძლო და ივლისის 11 გარდაიცვალა. განსვენებული ღირსეულათ დასაფლავდა 11 ივლისს, კავკავის ოსების ეკ. გალავანში. დასაფლავებაზედ მობრძანდა არდონის სას. სასწ. ზედამხედველი — არქიმ. იოანე, კავკავის ყველა ეკ. სამღვდელონი და აგრეთვე ოსების სოფლების სამღვდელონი. დასაფლავებაზედ სიტყვა წარმოსთქვეს: მ. არქიმ. იოანნემ და დეკ. ი. მამაცოვმა, რომელთაც, სხვათა შორის, დაწვრილებით აღრიცხეს განსვენებულის დიდი ღვაწლი და შრომა ოსთა შორის.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, მარად დაუვიწყარო და ღირსეულათ მოსაგონარო, ძმაო და თანამწირველო მიხეილ. ვსწუხვართ შენი თანაძმანი შენ დაკარგვას, და მომეტებულათ უფრო ის გვაწუხებს, რომ გულდაწყვეტილი გახველი ამიერ სოფლით. ვსწუხვართ, მაგრამ გვანუგეშებს და იმედი გვაქვს, რომ მაგიერათ შენი დიდი ღვაწლისა და შრომისათვის შესაფერად დაგაჯილდოებს მართლმსაჯული ძე ღვთისა მარჯვენით მამისა მჯდომარე, რომელსაც მოვალს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკვდართა...

მღვ. ნესტორ ბაკურაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სწავლა კეთილ-ზნეობასა და სარწმუნოებაზედ.

---

## ტაძარი ღვთისა არის მადლიანი სავანე მორწმუნე ქრისტიანეთათვის როგორც ამა ქვეყნიური ცხოვრების დროს, ისე ჩვენი გარდაცვალების შემდეგ.

ქვეყნიერი ჩვენი ცხოვრება, საყვარელნო ძმანო, სავსეა ცოდვებით, უბედურებით და წვალებით. სანამ ჩვენს გულში სუფევს წყარო ბოროტებისა, მანობამდე არ შეიძლება განვთავისუფლდეთ ამ ქვეყანაზე ბოროტების შედეგისაგან—მწუხარებისა და უბედურებისაგან. კაცის უბედურებას და მწუხარებას არა აქვს დასასრული, ვინაიდგან არც ჩვენს ცოდვებს აქვს სამზღვარი. ჩვენი მძიმე და ჭირით აღვსილი ცხოვრების შესამსუბუქებლად, ჩვენი მოქცევისა და ჭეშმარიტ გზაზედ დაყენებისათვის, რომელსაც შეჰყავს კაცი ზეციურ სასუფეველში, სადაც არის საუკუნო განსვენება, უფალმა იესო ქრისტემ თავის გამოუთქმელი სიყვარულისა გამო კაცთადმი დაგვიტოვა ჩვენ დაუშრეტელი წყარო თავის მადლისა თავის წმიდა ტაძარში. ტაძარი ღვთისა არის სულიერი თავ-საფარი და მადლიანი ადგილი ყველა ქრისტიანეთა განსასვენებლად; ეს არის სახლი ღვთისა, რომელიც არის კარი-ბჭე იმ ზეციური მამის ყოვლად ნეტარი სახლისა, სადაც არა არს ჭირი, არცა მწუხარება და ურვა. აქ სული მორწმუნისა ყოველთვის მოიპოვებს თავისთვის სიხარულს და ნუგეშს, აქ უმსუბუქდება და ისვენებს კაცის სული ყოველივე არეულობისა, აღშფოთებისა და ყოველივე ქვეყნიური მწუხარებისაგან.

თუ შენს სულს აწუხებს მრავალი ცოდვა და უსჯულოება, თუ შენს გულს აწუხებს შეგნება შენი დამნაშაობისა ღვთის საშინელს და მართალს მსჯავრის წინაშე, ასე რომ მოსვენება არა გაქვს სინდისის წერტისაგან, რომელიც გიქადის შენ საუკუნო წვალებას სიკვდილის შემდეგ, მოდი, საყვარელო ძმაო, ღვთის ტაძარში. აქ თვით მხოლოდ შობილმა ძე ღვთისამ, რომელსაც აქვს უფლება ცოდვათა მიტევებისა, დაგვიტევა, როგორც ძვირფასი წინდი ჩვენი ცხოვნებისა, ეს ღვთაებრივი თავის უფლება და ჩააბარა იგი თავის ტაძრის მოსამსახურეთა. აღიარე აქ ყოველივე შენი ცოდვები წინაშე უფლისა, მისი მოსამსახურის და ღვთის საიდუმლოთა აღმასრულებელის თანადასწრებით, განაცხადე ყოველივე წყლული შენი სინდისისა, ყოველივე სენი შენი გულისა, და მიიღებ მიტევებას ცოდვათა, მადლს, რომელიც განგამართლებს შენ და განგიახლებს ცხოვრებას: «უკეთუ აღვიარნეთ ცოდვანი ჩვენნი, სარწმუნო არს და მართალ, რათა მოგვიტევნეს ჩვენ ცოდვანი ჩვენნი, და განწმიდნეს ჩვენ ყოვლისაგან სიცრუისა», — ასე მოწმობს საყვარელი მოწაფე ქრისტესი.

თუ ზეცით გვექადის რისხვა ღვთისა რაიმე საზოგადო უბედურების დროს, ანუ თუ ჩვენი ცოდვებისაგან განრისხებული ზეციური მამა მოავლენს ცოდვილ კაცთა ზედა ცეცხლს ანუ სახმილს, ანუ სეტყვას, ანუ ჭირს, ანუ წარღვნას და წარწყმედას, ღვთის ტაძარში არის ყოვლად შესაწყალებელი მსხვერპლი ხორცისა და სისხლისა ღვთის მხოლოდ შობილი ძისა, ჩვენი შუამდგომელის მისი მამის წინაშე; არის საყოველთაო, მოსანანებელი და ლმობიერი ლოცვა, კეთილ სასიამოვნო ღვთის წინაშე. შეიკრიბენით მრავალნი ერნი უფლის ტაძარში ჭეშმარიტი სინანულით და ცრემლით; აღავლინეთ აქ ეს წმიდა ღვთის სასიამოვნო ლოცვა შემუსრვილი და მშვიდი გულით სამსხვერპლოზე მდებარე ყოვლად შემწყალე ღვთის ძის მსხვერპლის წინაშე.—ყოვლად მოწყალე ზეციური მამა, რომელიც მოწყალე ექმნა ერთ დროს მონანებულ და მავადრებელ ნინეველებს, და «მოინანეს ცოდვა, რაიცა რქვა ქმნად, მით უმეტეს მოწყალე ექნება სამკვიდრებელსა თვისსა, იხსნის ყოველივე ბოროტებისაგან მონათა თვისთა, რომელნიც სასოებენ მასზედ.

თუ ვინმე თქვენგანს შეავიწროებს ბოროტება, ცილის წამება, მტრობა და ბოროტის ყოფა, სწორეთ ამაების წინააღმდეგ მოგვანიჭა ჩვენ უფალმა იესო ქრისტემ, თვით ნამდვილი, ჭეშმარიტად ღვთაებრივი საშუალება—ლოცვა მტერთა და ჩვენ მოძულეთათვის. მოვედით ღვთის ტაძარში, შესწირეთ აქ ვედრება ჯვარცმული უფლის წინაშე, რო-

ბიბლიოთეკა

მელიც ევედრებოდა ღმერთს თავის შეურაცმყოფელთათვის, შეევედრეთ ისეთივე სიყვარულობით და გულსმოდგინებით და ისეთივე სიმშვიდით, როგორც შევევედრებოდით თქვენი საუკეთესო საყვარელ მეგობართა და კეთილის მომქმედთათვის,—და სული წმიდა მოუვლენს თქვენს სულს ისეთ მშვიდობას, რომელსაც ვერ აღაშფოთებს ვერავითარიმე ბოროტება, სული წმიდა აღავსებს თქვენს გულს ისეთი ზეციური ნუგეშინისცემით, რომელსაც ვერვინ ვერ მოიტაცებს თქვენგან.

თუ ვისმეს თქვენგანს ეწვევა რაიმე მწუხარება, თუ აღივსოს თქვენი გული რაიმე საშინელი უბედურებით, გაეშურენით წმიდა ეკკლესიის დედობრივ საფარველსა ქვეშე. ტაძარს თვით უფალმა იესო ქრისტემ მიანიჭა უფლება აღასრულოს ლოცვა ყოველ კაცთათვის, და თვითონვე აღუთქვა აღსრულება ყოველ თხოვნათა. იგი არა მარტო თვით, თავის მოსამსახურე პირის მეოხებით, შეევედრება უფალს თქვენთვის, არამედ თავისთან ერთად მოუწოდებს სავედრებელად ღვთის წმიდათა კრებას და თვით მეუფეს ცისა და ქვეყნისას, ყოვლად წმიდა ღვთის დედას. რა მწუხარება იქნება ისეთი, რომ ამ ვედრებამ არ დაამშვიდოს! რა მხიარულებას და ნუგეშინის ცემას არ მოუვლენს იგი გულს, მწუხარებისაგან შემუსრულს! იგი აღავსებს და გაათბობს მწუხარე კაცის სულს იმედის ბრწყინვალე სხივით!

როცა სული თქვენი დაიღლება ამაო სოფლის შრომით და ზრუნვით, უბედობით, რაიმე დანაკლისით და მწუხარებით და როდესაც იგი ეძიებდეს განსვენებას, მოვედით ღვთის ტაძარში; აქ თქვენ მოისმენთ ღვთაებრივ ხმას თქვენი გამომხსნელის და უფლისას: «მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისვენო თქვენ, აღიღეთ უღელი ჩემი თქვენზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ და დაბალ ვარ გულით და განესვენოთ სულთა თქვენთა». აქ წმიდა ეკკლესია თავისი ლოცვით და სწავლით, დარიგებით, ღვთისმოსავ კაცთა მაგალითებით შეგიმსუბუქებსთ თქვენი სულის მწუხარებას და გამცნებსთ თქვენ, თუ როგორ უნდა იცხოვროთ ქვეყანაზედ. იგი გამცნებთ თქვენ წმიდა და საუფლო გზას, რომელსაც შეჰყავს კაცი საუკუნო საცხოვრებელში, ადგილსა მოსვენებისა და ნეტარებისასა: გამცნებთ გზასა მშვიდობისასა და შიშისა ღვთისა, გზასა სიმშვიდისა და მოთმინებისას, გზასა კეთილ-სულიერებისა, სიყვარულისა და კეთილ სურვილისა ყოველთადმი, გზასა თავის თავის უარის ყოფისა და ქრისტესადმი შედგომისას, გზასა სიმართლისა და ყოველ განზრახვათა და მოქმედებათა სიწმიდისას. დაადექით ამ წმ. გზას, და მოუპოვებთ სულსა თქვენსა ჭეშმარიტს განსვენებას.

თუ სხეული თქვენი დაიქანცოს დამღალავი შრომისაგან, ანუ ბუნების ჩვენდამი მავნებელ მოვლენათაგან და დავარდეს სარეცელსა ზედა, თუ შენ არ შეგეძლოს ტაძარში მისვლა, თვალნი შენნი მაინც მიაპყარ ღვთის ტაძრისადმი, და «თუ უძლურ ვინმე არს თქვენ შორის, მოუწოდენ ხუცესთა ეკკლესიისათა და ილოცონ მას ზედა, და სცხონ მას ზეთი სახელითა უფლისათა, და ლოცვამან სარწმუნოებისამან აცხოვნოს სნეული იგი და აღადგინოს იგი უფალმან; და დაცა თუ ცოდვაი რაიმე ექმნეს; მიეტეოს მას». ასე გვასწავებს ქრისტეს ერთი საყვარელ მოწაფეთაგანი.

აი დადგა საშინელი და აუცილებელი ჟამი სიკვდილისა: დასუსტებული სხეული უძრავად სძევს სარეცელზედ, შეშფოთებული სული მზათ არის განეშოროს სხეულს და წარსდგეს სხვა ქვეყანაში, ყოვლად მცოდნე მსაჯულის წინაშე. ვინ შეეწევა ჩვენს სულს ამ საშინელს დღეს და ჟამს? არავიან და არა რაიმე ქვეყანაზედ: ყოველივე სიყვარული და ზრუნვა ჩვენ მოყვასთა უძლურ არიან აღმოგვიჩინონ ჩვენ რაიმე შემწეობა. მხოლოდ თავის ძეთა მოყვარულს დედას ჩვენსას—წმ. ეკკლესიას შეუძლია აღმოგვიჩინოს ჩვენ ნამდვილი შემწეობა. სწორეთ ამ დროს, ჩემო საყვარელო ძმაო, უმეტესად მიაპყარ შენი მხედველობა ღვთის ტაძარს. იქიდგან მოვალს შენდამი ქრისტეს მოსამსახურე; ნუგეშინისცემით და სახარების სიტყვით განამტკიცებს შენს გულს, საიდუმლო წმიდა სინანულით განსწმენდს და დაამშვიდებს შენს აღშფოთებულს სინიდის! ლოცვებით და ვედრებით აღაფრთოვანებს შენს სულს და შეეწევა აღურინდეს იგი ქვეყნიდგან ზეცად. ღვთის ტაძრიდან მოვალს შენდამი თვით უფალი იესო ქრისტე—იმედი ჩვენს სიკვდილში და ცხოვრება ჩვენი გარდაცვალების შემდეგ—თავის უწმიდეს საიდუმლოთა შინა, მიეგებე მას სარწმუნოებით და იმედით, ჭეშმარიტი სინანულით და შემუსრვილი გულით, ძლიერი სიყვარულით, სრულად მიანდევ მას შენი თავი; შეუერთდი მას სიკვდილის წინ ზიარების მიღებით: მაშინ თვით შეგეძლების სთქვა წინასწარმეტყველთან ერთად: «უკეთუმცა ვიდოდე სასიკვდინე სენთა შორის, არა მეშინოდეს მე ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როტისაგან, რამეთუ შენ უფალი ჩემთანა ხარ».

დაბოლოს უკანასკნელი ამოოხრვაც ამოფრინდება ჩვენი გულისგან;—უსულო ჩვენი სხეული ეძლევა ხრწნილებას. მაშინ ყველანი და ყოველივე, უნებლიედ, თავს გვანებებენ ჩვენ. მაგრამ სწორედ ამ დროს არ გვანებებს თავს ძეთა მოყვარული დედაჩვენი წმ. ეკკლესია. ერთხელ კიდევ მიგვიტანენ ჩვენ ღვთის ტაძარში. წმ. ეკკლესია ჩვენი გულისათვის შესწირავს ზეციურ მამას უწმიდეს მსხვერპლს მხოლოდ შობილი ძის—ჩვენი გამომხსნელის და შუამდგომელის ხორცისა და სისხლისას; იგი ყველა წმიდანებთან ერთად შევედრება მეუფესა და უფალს, რათა მოწყალე გვეყოს ჩვენ საშინელს განსჯის დღეს, და მოგვიტევოს ჩვენ ყოველივე ჩვენი ცოდვანი, და დაჰფაროს ყოველივე ჩვენი სისუსტე თავის მოწყალების ფარდით, რათა განუსვენოს სულსა ჩვენსა სამყოფელთა მართალთასა; ტაძარი მიაბარებს ჩვენს სხეულს მიწას ხანგრძლივი განსვენებისათვის, მომავალს განღვიძებამდე, რომელიც მოხდება მთავარანგელოზის საყვირის ხმის დროს.

ასე, ჩემო საყვარელო ძმანო, ჩვენს სხეულს, დაბოლოს ჩაუშვებენ სამარეში და ზედ წაგვაყრიან მიწას. ადრე თუ გვიან ყველა ნათესავნი და ნაცნობნი დაგვივიწყებენ ჩვენ. მაგრამ არას დროს, დასასრულამდე ქვეყანისა ამის, არ დაგვივიწყებს მოსიყვარულე დედა ჩვენი წმ. ეკკლესია, თუ ჩვენ გარდავიცვალენით მის ერთობასთან, ერთი სარწმუნოებით და სიყვარულით ყველა ქრისტეს მიერ ძმათა თანა. ყოველთვის, როცა ამ ტაძარში შეიკრიბებიან მორწმუნე შვილნი მისი, როცა ამა ტრაპეზედ შეიწირების უსისხლო მსხვერპლი მხოლოდ შობილი ძისა ღვთისა, იგი ერთგულად შევედრება ჩვენთვის, აღძრავს ტაძარში მდგომარეთა გულში, რათა იგინი შევედრონ უფალს აღმშენებელთა ამა ტაძრისათა და ყველა განსვენებულ მამათა და ძმათა ჩვენთა აქა მდებარეთა. ჰო, როგორი გამოუთქმელი სიხარულით და ნუგეშინის ცემით აღივსება სული ჩვენი მეორე ქვეყანაში, როცა ამ შეწირული ვედრებით, სული ჩვენი თავარ-ანგელოსთა და ანგელოსთა ერთად წარსდგება ღვთის საკურთხევლის წინაშე!

ახეთია, ძმანო ჩემნო, ღვთის მოწყალება—წმ. ტაძარი! საშინლად უმადურია ღვთის წინაშე, ხმის ამოღება არ შეუძლია მას საშინელს განსჯის დროს მას, ვინც არ სარგებლობს მათი თავის საცხოვნებლად. ვინც თვითონ განუდგება ღვთის ტაძარს, ის ცხადად შორდება ღვთის ერთობას და მოაკლდება მის მადლს. ამინ.

---

# სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

---

## მღვდელთა საყურადღებოდ.

ყოველი მღვდელ-მოქმედების შესრულება დაბოლოვდება მღვდლის ჩამოლოცვით. სხვა-და-სხვა მღვდელ-მოქმედებას თავ-თავისი ჩამოლოცვა აქვს. ეს მღვდლის ჩამოლოცვა, ერთის მხრით, ძლიერ საადვილო არის, მაგრამ, რომ დააკვირდეთ კარგად, თუ როგორ სრულდება ეს ჩამოლოცვა სხვა-და-სხვა ადგილას, დაინახავთ, რომ ბევრგან ისე არ ეადვილება იგი სამღვდელოებას, როგორც მოსალოდნელია. შეიძლება ვინმემ გვითხრას, რომ ჩამოლოცვა თვითონ კონდაკში და კურთხევანში სწერია და არავისთვის მისი გაგება საძნელო არ არისო, მაგრამ ეს ასე არ არის. საბარკულის დაკიდებაც ძლიერ ადვილი გასაგები და მისახდომია, მაგრამ ამ ჯილდოს ხმარება ბევრმა მღვდელმა არ იცის. მართალია, წიგნებში არის ზოგან დაბეჭდილი ჩამოლოცვა. წიგნებში ბევრი სხვა რამეები სწერია, მაგრამ ბევრს არ შეუძლია გაიგოს განუმარტებლად. გვირგვინის კურთხევის შესახებ კურთხევანში სწერია; მღვდელი გვირგვინის კურთხევას შეასრულებს კაცზე და ქალზე, რომელთაც ჰსურსთ მეუღლეობითი კავშირიო. მეტრიკის გამოწერილობანი წლოვანებაზე ოთხ აბაზიანი მარკით, დედ-მამის ნებართვა და მზრუნვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებისა, სამგზითი გამოკითხვა და სხვა გაფრთხილებანი გვირგვინის კურთხევამდის სრულებით არ ითხოვება კურთხევანით და, რასაკვირველია ქრისტიანობის პირველ საუკუნოებში მარკების მოთხოვნილებაც სრულებით არ იქნებოდა, მაგრამ ბევრი მღვდელი არის მიცემული პასუხის გებაში და ბევრიც მიეცემა კურთხევნის მოთხოვნილებას თუ დაენდო მარტო. ესევე ითქმის ჩამოლოცვაზედ. ჩამოლოცვის ტიბიკონიც არის ნაჩვენები ჩვენ დაბეჭდილ ძველ კონდაკებში, მაგრამ დღეს მასს ბევრი რამ აქვს მიმატებული და ბევრი რამ დაკლებული.

ზოგი მღვდლები სლავიანურ ენაზედ დაბეჭდილი კონდაკებით ხელმძღვანელობენ და, სხვათა შორის, იხსენიებენ მოციქულთა-სწორს ვლადიმერს, მოსკოვის მიტროპოლიტთა პეტრე, იონა და ფილიპეს, მაგრამ სრულებით სტოვებენ საქართველოჲს განმანათლებელს, მოციქულთა-სწორს ნინას და მოწამეთა დავით და კონსტანტინეს და სხვათა საქართველოის ეკკლესიის წმიდათა. მართალია რუსულ კონდაკებში წმ. ნინა, მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე და სხ. არ სწერიან, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ეითომც მათი მოხსენება აღკრძალული იყოს და არ შეიძლებოდეს. ქრისტიანობა რუსეთში მეცხრე საუკუნიდამ დაარსდა, ხოლო ჩვენს დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა პირველსავე საუკუნეში შემოვიდა და საზოგადოდ ყველგან გავრცელდა ნინასაგან მეოთხე საუკუნიდამ. საქართველოს ეკკლესია თავისუფლად არსებობდა და განიგებოდა 1801 წ-დე ქათალიკოზებისაგან; ჩვენ გვქონდა საკუთარი წიგნები და საკუთარი წეს-წყობილება.

სწორეთ საკვირველია ზოგიერთებისათვის, რომ რუსეთის უწმ. სინოდის წმინდანებში კიდევ ვერ ნახავთ საქართველოს ეკკლესიის წმიდანებს. ამას წინეთ პატარა წიგნები დაარიგეს ბლაღოჩინებზედ, რომელშიაცა მოთავსებულია ყველა წმიდანების სახელი გარდა საქართველოს ეკკლესიის წმიდანებისა. ბრძანება იყო გამოცემული, რომ ახლად მონათლულებს დარქმეოდა უთუოდ ამ წიგნში მოხსენებული სახელები და არა სხვა. ზოგიერთი შეშინებულნი მღვდლებიც მშობლების წინაალმდეგ ქალს მარიამს, ნადეჟდას და პრასკოვიას არქმევენ, და ვაჟებს პეტრეს, ნიკოლოზს ან ბორისს უწოდებენ. მართლაც ეს სახელები ერთობ გავრცელებულია ჩვენში.

ჩვენ ვხედავთ სასულიერო პირთა რუსთაგან, რომელნიც ადგილობითი ჩვეულებისა და მოთხოვნილებისამებრ რუსის ეკკლესიის წმიდანებთათანა იხსენიებენ წმიდა ნინას, წმიდა გიორგის და ანდრია მოციქულს, პირველ წოდებულს. ნუ თუ ჩვენმა სამღვდელოებამ ამათ მაინც არ უნდა მიბაძოს და ჩამოლოცვაში მოიხსენოს წმიდა ნინა, წმიდა გიორგი და მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე და სხვა...

ზოგიერთი ჩამოლოცვის დროს, თავთავის ადგილას არ იხსენიებენ წმიდანებს. მაგალითებრ, ყველამ იცის, რომ ღვთის-მშობლის წინ არც ერთი წმიდანის მოხსენება არ შეიძლება. ისიც ყველამ უნდა იცოდეს, რომ მამაკაცთაგანი ქვეყნად შობილი იოანნე ნათლისმცემელზედ უმაღლესად არავინ არა სდგავს; ამისათვის ყოვლად შეუძლებელია, რომ იოანნე ნათლისმცემელზე წინეთ ან იოანნე ოქროპირი, ან წმიდა გიორგი, ან დიდი მთავარი ვლადიმერი და ან წმ. ნინა მოიხსენონ. ამ მხრით მოხსენებაში კაცი ამჩნევ სხვა-და-სხვაობას, რომელიც მცოდნე კაცში ცუდ შთაბეჭდილებას ჰბადავს.

ჩვენ ვნახეთ ერთი ძველი ხელთნაწერი, რომელშიაც დაწვლილებით არის მოყვანილი ჩამოლოცვანი და, ვგონებთ, რიგიანადაც არის შედგენილი. შემდეგ დროისათვის დავბეჭდავთ ჩვენ ამ ჩამოლოცვას და მანობამდისინ ვსთხოვთ ყველას, თუ ვისმე აქვს რაიმე ძველი ხელთნაწერი ამ საგნის შესახებ, დროებით გარდმოგვცონ გადასახედავათ.

რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განცხადებანი.

### სახელმძღვანელონი და სხვა წიგნები,

### დაწერილნი იაკობ გოგებაშვილის მიერ.

**დედა-ენა**, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, საერო და სამრევლო სკოლებში სახმარებელი, მეცხრე შევსებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ჩართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მხმარებელთ აღარ მოუნდებათ ყიდვა არც სახატავებისა და არც დედნისა. ფასი ისევ ექვსი შაურია, ყდით ორი აბაზი. ეს წიგნი მოწონებულია და ქართულის ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... ვინც ერთად იყიდის ოც და ათს ან მეტს ცალსა წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათ, ყდით 33 კაპ.

**ბუნების კარი**, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასში სახმარებელი, მეშვიდე გამოცემა, შემკული, სურათებით და საქართველოს ქარტით, დაბეჭდილია წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ფასი ყდით ოთხი-აბაზ უზალთუნი (90 კაპ.). უყდოთ ეს გამოცემა არ ისყიდება. ვინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცსა—თუთხმეტ შაურად და ვინც ოც-და-ათსა—თოთხმეტ შაურად. ეს წიგნიც მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც „მშვენიერი სახელმძღვანელო ქართულის ენისა“ და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

**კოკორი**, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა მეშვიდე, ფასი ორი შაური; ნარდათ 8 კაპეიკი.

**კონა** საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდგან, მესამე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური, ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცსა, ორ აბაზათ. წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგანა.

**ხომლი**, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

**კუნწულა**, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

**იავნანამ რა ჰქმნა?** მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის, ფასი ორი შაური.

**ხატის მიზეზი?** საყმაწვილო მოთხრობა, ფასი ერთი შაური.

**ასპინძის ომი**, საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათით და ქარტით, ფასი ორი შაური.

**ძირითადი უკუღმართობა**, პუბლიცისტური წერილი დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ კერძო ადამიანის და მთელის ერის ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

**РУССКОЕ СЛОВО**, часть первая, изданіе третье, цѣна тридцать копеекъ, въ переплетѣ 40 копеекъ.

**РУССКОЕ СЛОВО**, часть вторая, изданіе второе, цѣна 40 копеекъ. Въ переплетѣ 50 коп.

**РУКОВОДСТВО** для учащихъ къ преподаванію русскаго языка по „Русскому Слову“, цѣна 50 коп.

Обѣ части «Русскаго Слова» одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а «Руководство для учащихъ» одобрено для библіотекъ низшихъ и среднихъ учебныхъ заведеніи всего Кавказскаго учебнаго округа, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденія Господина Главноначальствующаго. (Смотри „Сборникъ“ распоряженіи по управленію Кавказскимъ Учебнымъ округомъ стран. 1965 и 1967).

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано Русское Слово» духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

(10—4)

---

## ისყიდება

### დეკანოზი დავით ღამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, ცენტრალურ და ბ. ხიდიკელის წიგნების მაღაზიებში, ქუთაისში—«მწყემსი»-ს რედაქციის სტამბაში და ძმ. ჭილაძეების და წერეთლის წიგნების მაღაზიებში და ყვირილაში—თვით გამომცემელთან.

1) **დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზედ**, რომელიც უწმიდესი სინოდისაგან მოწონებულია როგორც სასწავლო საღმრთო სჯულისა საეკკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დასაწყის სკოლებში—ფასი . . . . 30 კ.
2) იგივე დარიგება საღმრთო სჯულის სწავლაზედ რუსულს და ქართულს ენაზე 50 კ.
3) **საქართველოს საეკკლესიო ისტორია** ფასი ყდით . . . . . 45 კ.
4) **ქართული ლოცვანი**, თვეთა მეტყველებით, ქორონიკონით და მართლმადიდებელი ეკკლ. უმთავრესი დღესასწაულების მოთხრობით.—ფასი . 30—
5) **ახალი კარაბადინი**, რომელიც განხილული და ნება-დართულია კავკასიის საექიმო რჩევისაგან.—ფასი . . 1 მან.
6) **მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო** წიგნი—ფასი ყდით . . . 30 კ.

7) ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება.—ფასი ყდით . . 40 კ.
8) მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართველთ განმანათლებელი,—ფასი . 25—
9) გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებელისა.—ფასი . . . 25—
10) წმ. მოწამენი დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი.—ფასი . 5—
წმიდანი მღვდელ-მთავარნი: ვასილი
11) დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და იოანნე ოქროპირი, სურათებით—ფასი 5—
12) მირქმა უფლისა, სურათით.—ფასი . 2—
დიდ-მარხვის წინ, სურათით.—ფასი . 2—
13) ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა სურათით.—ფასი . . 2—
14) ბზობა სურათით—ფასი . . . 2—
15) აღდგომა სურათით—ფასი . . 2—
16) პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი
17) თავის მეგობარ ქალთან . . . 5—
18) მეფე სოლომონ-ბრძენი სურათით—ფ. 5—
19) აღწერა წმ. მოც. სწორის დიდის მთავრის ვლადიმირისა . . 2—
20) წმიდა ნინა ქართველთ-განმანათლებელი . 2—
21) შიო-მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი სურათით—ფასი . . . . 5—
22) მიძინება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა, სურათით—ფასი - . 2 კ.
23) ამაღლება პატიოსნისა და ცხოველ-მყოფელისა ჯვარისა უფლისა სურათით 2—
24) ღვთის-მშობლის დაბადება—სურათით 2—
25) ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა 2—
26) ესთერი სურათით.—ფასი . . 5—
27) წმ. მოწამე რაჟდენი—სურათით ფასი 5—
28) ისო ძისა ზირაქისა სურათით . . 5—
29) დაწყებითი გაკვეთილები სამღვთო სჯულის სწავლებაზე ფასი . . 15—
30) ცოცხალთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყდით) 30—
31) **1893** წ. სასულიერო და საერო კალენდარი 20—
32) დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე.—ფასი . . 10—
33) ანდრია-პირველ წოდებული ისტორიული პოემა აკაკისა.—ფასი . . 5—
31) თამარ მეფე—სურათით . . . 5—
32) მეფე დავით III აღმაშენებელი . . 5—

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა 15 კ.

ვინც 2 კ. წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გასაგზავნს არ იხდის.


# სამკურნალო
## ს. ბ. თოფურიასი
## მომსვლელთა ავათმყოფთათვის
## და
## მუდმივ საწოლებით ქ. ქუთაისში.

ავადმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის ათი საათიდამ სამ საათამდის: **შინაგანი** და **ყმაწვილების ავათმყოფებს** მიიღებს **ს. ბ. თოფურია. ხირურგიულისა, ვენერიულისა** და **სიფილისის** ავათმყოფობისათვის ს. ა. ვოინო. **სამშობიარო** და **ქალის ავადმყოფობისათვის**—ექიმი-ქალი მ. ფ. კალანი. **თვალებით ავათმყოფებს** კი მიიღებენ დილის თერთმეტი საათიდამ ორ საათამდის

**სამკურნალოსთან** არის გამართული კაბინეტი ავათმყოფთა დასაზელად (მასაჟისათვის) ექიმების ხელმძღვანელობით და კაბინეტი შარდისა და ნახველის გამოსაკვლევად.

ფასი ექიმობისა თითოეულ ნახვაზედ ათი შაურია. კონსილიუმი (რჩევა), რომელიც შესდგება სამკურნალოს ყველა ექიმებისაგან, ღირება 3 მანეთი შარდის თვისებათა გამოკვლევა—ერთი მანეთი; შარდის გამოკვლევა რაოდენობის მხრით—სამი მანეთი. მიკროსკოპით გამოკვლევა ნახველისა—ორი მანეთი; დაზელვისა (მასაჟის), აგრეთვე საავადმყოფოში დაწოლისა და მოვლის ფასი—გარიგებით იქმნება. გადამდები ავათმყოფობით სნეულებს საავათმყოფოში დასაწოლად არ მიიღებენ.

მომსვლელ ავადმყოფებს იღებენ პრინც მიურატის სახლებში, გიმნაზიის ქუჩაზე და მუდმივი ქვეშაგებიან-საწოლიანი სამკურნალო არის ს. ბ. თოფურიას საკუთარ სახლში, გაგარინის ქუჩის შესახვევში, სომხების ეკლესიის მახლობლად.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.


რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою. Кутаисъ, 17 Августа 1893 г.*
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.